5/63

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა

№ 2
22 აპრილი
1930 წელი

ტფ. სახ. უნივერსიტეტის პარტ. ბიურო კოლექტივისა, კომკავშირისა, გამგეობისა, ადგილკომისა და სტ. აღმას. ბიუროს ორკვირეული ორგანო

ბოლშევიკურ თვითკრიტიკით ნაკლულოვანების აღმოფხვრისაკენ.

ჩვენი ამოცანები

სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტორგანიზაციაში გადარჩევები უკვე დაიწყო. სტუდ. პროფორგანიზაციებში კი ეხლავე უნდა შევუდგეთ მზადებას. გადარჩევები სულ სხვა პირობებში და გარემოცვაში ხდება, ვიდრე წარსულში. სტუდენტთა პროფორგანიზაციებში აღმოჩენილი უმსგავსოებანი ლაპარაკობს იმ სისუსტეზე, რომელიც აღმოაჩნდა უნივერსიტეტის ორგანიზაციებს; ლაპარაკობს დაუდევრობაზე, რომელიც ამ ორგანიზაციებმა გამოიჩინეს, სუსტ პარტხელმძღვანელობაზე, განსაკუთრებით აღმასბიუროს მიმართ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და გაერთიანებულ უჯრედთა რეზოლიუციები, რომელსაც დღეს ჩვენს გაზეთში ვათავსებთ მთელი სისასტიკით, ლაპარაკობს ამ შეცდომებზე. ამ შეცდომების არ ცნობა ნიშნავდა და ნიშნავს კიდევ ახალი ნიადაგის შექმნას ახალი შეცდომებისათვის, მაგრამ ბოლშევიკურ პარტიას არასოდეს არ დაუმალია თავის შეცდომები და მისი სიძლიერე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას სააშკარაოზედ გამოაქვს ყველა უარყოფითი მხარეები და იბრძვის მის წინააღმდეგ; ის თვით იწყებს ხელმძღვანელობას დაშვებული შეცდომების გამოსწორებისათვის. უნივერსიტეტის პარტორგანიზაციამ აღმოჩენილ უმსგავსოებათა შეფასებაში დაამტკიცა, რომ მას მშვენივრად ესმის და ახსოვს უმთავრესი ამოცანა: „გამოიჩინონ სიმტკიცე, აღიარონ თავიანთი შეცდომები, და მოიკრიბონ ძალღონე ამ შეცდომების მოკლე დროში აღმოსაფხვრელად" (სტალინი). აღმასბიუროს მომუშავეებმა ცუდათ მოიხმარეს და გაიგეს ეს დიდი ნდობა, რომლითაც ისინი სარგებლობდენ და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ერთ შეცდომათაგანი ისიც იყო და არის, რომ „доверяли и не проверяли"; თვითკრიტიკის ფართოდ გაუშლელობამ და აღმასბიუროში მომუშავეთა მიერ ურთიერთ დაფარვამ, ახალი აქტივის წამოუყენებლობამ ხელი შეუწყვეს სტუდენტთა პროფორგანიზაციებში შექმნისუ მსგავსოებას და აი, ის სწორედ ყველა იმ ტკივნეულ ადგილების გასაჯანსაღებლად, რომელზედაც მიგვითითებს საკონტროლო კომისიის დადგენილება, უნდა იქნეს წარმართული ჩვენი მუშაობა.

უნივერსიტეტის პარტორგანიზაცია გააფთრებით აწარმოებდა ბრძოლას ანტი - საბჭოთა ელემენტებთან, რეაქციონალური პროფესურისა და, სტუდენტების ნაწილის წინააღმდეგ. ყოველგვარ შოვინისტურ და ნაციონალისტურ განწყობილებების მატარებელთა წინააღმდეგ.

ამ მხრივ „ჩატარებულ უდიდესი მუშაობის არარაობად ქცევის ცდებს უკვე ადგილი აქვს, ზოგიერთი ვაჟბატონები ყველა ჯურისა და ყალიბის გამვლელები ცდილობენ აღმოჩენილი უმსგავსოება სტუდპროფორგანიზაციებში თავის სასარგებლოდ გამოიყენონ. ვაფრთხილებთ ამ არამკითხე ვაჟბატონებს, რომ ბოლშევიკური პარტია „საკათალიკოსო საბჭოს კრებული არ არის", რომ ასეთ ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდება, და გაძლიერდება არა მარტო ასეთი ელემენტების, არამედ მათ წინააღმდეგაც, ვინც მათთან შემარიგებლობის პოლიტიკას აწარმოებს.

გადამჭრელი ბრძოლა, ანტი-საბჭოთა ელემენტების რეაქციონური პროფესურის და სტუდენტთა ნაწილის წინააღმდეგ იყო და დარჩება ჩვენ ამოცანად. მიუხედავათ იმისა, რომ ორგანიზაციამ უდიდესი ბრძოლები გადაიტანა ტროცკისტებთან, უნივერსიტეტში ჯერ კიდევ ვხვდებით ამ კონტრ - რევოლიუციის ნამსხვრევებს; აქა-იქ კიდევ შევხვდებით ნამდვილ ტროცკისტულ სულისკვეთებით გაჟღენთილ შეკითხვებს, თუმცა სხვა ფორმაში. ხანდახან თვითკრიტიკის ფორმაშიაც კი. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტროცკისტულ იდეოლოგიასთან ბრძოლა არ ამოშლილა დღის წესრიგიდან. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ზოგიერთ ყოფილ ტროცკისტებს კბილის გასინჯვა ესაჭიროება და ეს მით უფრო მათ, ვინც უკან დაბრუნდა ამ ცოტა ხნის წინ. ბრძოლა მემარჯვენეებისა და შემარიგებლობის წინააღმდეგ. უფრო გააფთრებით უნდა ვაწარმოვოთ. ისმება საკითხი, ჩვენს ორგანიზაციაში მოიპოვებიან თუ არა ასეთნი? აუცილებლად მოიპოვებიან. ამის მაგალითები გვაქვს. უკანასკნელ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით ამ სულისკვეთებამ აქა-იქ იჩინა თავი (ზოგიერთი წერილები კომკავშირლების). ბრძოლა ორ ფრონტზე და ჩვენი ორგანიზაციის შეკავშირება კიდევ უფრო მტკიცედ პარტიის გენერალურ ხაზზე, ბრძოლა მემარჯვენე მეალილუეთა, მათთან შემარიგებელთა და მემარცხენეთა წინააღმდეგ—იყო და რჩება ჩვენს ამოცანად.

ამის გარდა უნივერსიტეტის ცხოვრების მთელი რიგი პრაქტიკულ საკითხებისა, რომლის გადაჭრაში ჩვენ მიღწევები და შეცდომებიც გვქონდა, მოითხოვენ კრიტიკის ქარცეცხლში გატარებას და შეფასებას. ასეთი დიდი საქმე, როგორიც არის სოციალისტური შეჯიბრება, ჯერ კიდევ ვერ გვაძლევს ისეთ შედეგებს, რის მიღებაც შეიძლებოდა. ამ მხრივ, აუცილებლად მუშაობის გაძლიერება და გაფართოება ესაჭიროება. არ კმარა მარტო ხელშეკრულება, საჭიროა მისი საქმედ ქცევა, საჭიროა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების დაქვემდებარება საერთო მიზნებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარტორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ შესძლო მუშაობის ახალ ფორმაზე გადასვლა, ჯერ კიდევ ვერ შესძლო შეერთებულიყო **(включиться)** სექტორების სისტემაზე. ჩვენ კიდევ ძველი მეთოდით ვმუშაობთ. სხვა უჯრედებში უკვე მესამე თვეა ამ ახალმა ფორმებმა და მეთოდებმა თავისი ადგილი მონახეს. ჩვენთან კი ამ გადარჩევებმა უნდა მისცეს იმპულსი ახალ ფორმებსა და მეთოდებზე მუშაობის გადასაყვანად. რაც შეეხება უნივერსიტეტის გამგეობასა და ადმინისტრაციის მუშაობას, ის სუსტი იყო. მან ვერ შესძლო ყველა დასმული ამოცანების გადაჭრა. ძლიერ ხშირი იყო და არის შემთხვევა, რომ უნივერსიტეტში, ასეთ დიდ დაწესებულებაში ვერც - ერთ პასუხისმგებელ პირს ვერ ნახავთ (ასეთი პირები კი საკმაოა, რექტორი, მისი თანაშემწე, ორი პრორექტორი, სამი დეკანი და სხვა). მუშაობა სამკუთხედისა კი შეუთანხმებელია. საჭიროა კონტაქტი სამკუთხედის შორის. პირად ქიშპობას საქმის გაფუჭების მეტი არაფერი მოაქვს; გადარჩევებმა და ახალმა აქტივმა სწორი ხელმძღვანელობით უნდა გადაჭრას ეს საკითხი. სტუდენტთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ბრძოლა იყო და რჩება ისევ ჩვენს ამოცანად, ახალ პირობებთან დაკავშირებით და იმ ახალ ამოცანებთან, რომელსაც კადრების საკითხი ჰქვიან, ბევრი არაფერი გაკეთებულა. თუ გაკეთდა, ისიც ძლიერ ცოტა. არ კმარა მარტო კონტრაქტაცია, საჭიროა პროგრამების, გეგმის, სწავლის მეთოდის გარდაქმნა. საჭიროა ნამდვილი ბრძოლა ჩვენი ახალი ყოველმხრივ მისაღები კადრებისათვის.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტორგანიზაციას ეს ამოცანები უდევს გადასაჭრელად. ძლიერ ბევრია საკეთებელი, ძლიერ დიდი ენერგიის დაჭიმვა არის საჭირო, რომ ღირსეულად შევასრულოთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა. მთელი ჩვენი მუშაობა, როგორც გადარჩევების, ისე მის შემდეგ უნდა იყოს მიმართული იმისკენ, რომ ჩვენი შეცდომების აღიარებით მოვიკრიფოთ ძალღონე ამ შეცდომების გამოსასწორებლად. „უჯრედები მთლიანად ჯანსაღია და ის შესძლებს საკონტროლო კომისიის დადგენილების და რაიონული კომიტეტის მითითების საფუძველზე ახალი აქტივის წამოყენებით დასმული ამოცანების გადაჭრას".

X.

ჩვენი საშეფო მუშაობისათვის

ოთხი თვე თავდება მას შემდეგ, რაც სახ. უნივერსიტეტის საშეფო ორგანიზაცია გაიყო ორ ჯგუფად და თვითეულმა მათგანმა ცალ-ცალკე დაიწყეს მუშაობა.

სახ. უნივერსიტეტმა საშეფოდ აიყვანა სოფ. ნორიო, რომელიც აერთიანებს 1.000 კომლ გლეხს.

სოფლის 40 პროც. ღარიბ მოსახლეობას ეკუთვნის, დანარჩენი კი საშუალო გლეხთა ფენას შეადგენს. სოფელში ჩამოყალიბებულია ოთხი კოლექტიური მეურნეობა, რომელიც აერთიანებს 250-მდე ღარიბ და საშუალო გლეხს.

კოლექტივიზაციის და თესვის კამპანიასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის შეფმა მიავლინა აღნიშნულ სოფელში ათი კაცისაგან შემდგარი ბრიგადა.

ბრიგადა დაყოფილი იყო სამ ჯგუფად: სააგიტაციო - საპროპაგანდო, იარაღ - მანქანების შემკეთებელი და სამკურნალო.

პირველმა ბრიგადამ შეუდგინა კოლექტივებს წლიური საწარმოო გეგმა, მოაწყო უბნების მიხედვით საუბრები და აძლევდა კოლექტივში გაერთიანებულ მშრომელ გლეხობას ახსნა - განმარტებებს ყოველგვარ საკითხებზე.

მეორე ბრიგადამ ადგილობრივი მჭედლებისა და ზეინკლების დახმარებით შეაკეთა 50 მძიმე და 15 პატარა გუთანი.

სამკურნალო ბრიგადამ მოახდინა მთელი სოფლის მცხოვრებთა გასინჯვა, მათ შორის 300-მდე მოსწავლე ბავშის, რომელთაც დაურიგდათ უფასო წამალი, როგორც კოლექტივის წევრებს.

ბრიგადა დარჩა ორი კვირის განმავლობაში, და ამ ხანში ბევრი რამ გააკეთა ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით.

სახ. უნივერსიტეტის შეფ. უჯრედი არ დაკმაყოფილებულა მარტო საშეფო სოფლის დახმარებით — მან ორი ბრიგადა გაგზავნა სხვა სოფლებშიაც: ერთი კახეთის ოლქში და, მეორე სამეგრელოში 9 კაცის შემადგენლობით. როგორც გვადმოგვცემს სახ. უნ-ტის რექტორი ამხ. ტოროშელიძე, ამ ბრიგადებმაც უაღრესად ავტორიტეტული მუშაობა აწარმოეს ადგილებზე, რითაც დაიმსახურეს მშრომელ მოსახლეობისაგან მადლობა.

სახ. უნ-ტის შეფის მომავალი მუშაობა:

ჩვენი შეფ. უჯრედი აერთიანებს 650-მდე წევრს. ცხადია, ეს ძალზე მცირე რიცხვია. მაგრამ ამ ბოლო დროს ბიურომ მიამაგრა ყოველ ფაკულტეტზე კურსის მიხედვით თავისი აქტიური წევრები, რომლებიც სურვილისდა მიხედვით აწარმოებენ წევრთა ზრდას.

ჩვენმა უჯრედმა შესძლო აქტივის შესწავლა, რითაც მომავალში სახ. უნ-ტის შეფი ყველა თავისუფალ ორგანიზაციათა შორის დაიკავებს პირველ ადგილს.

გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით შეფმა გაუგზავნა სოფელ ნორიოს ორი მძიმე გუთანი უფასოდ.

შეფს განზრახული აქვს პირველ მაისისათვის მოაწყოს საშეფო სოფ. ნორიოში დიდი ექსკურსია 200 კაცის შემადგენლობით, რომელიცთან წაიყვანს სასულე ორკესტრს, მომღერალთა გუნდს და დრამატიულ დასს. ექსკურსია ადგილობრივ ჩაატარებს მიტინგებს და გაუმართავს უფასო საღამოს მშრომელ გლეხობას. ექსკურსია დაასაჩუქრებს ადგილობრივ კოლექტივებს რამოდენიმე მუშა ცხენით, რომლის შესაძენად თანხა გაიღო სხვადასხვა ორგანიზაციებმა — განსაკუთრებით პარტბიურო - კოლექტივმა.

საზაფხულო არდადეგების დროს ამავე სოფელში სამი თვით გაიგზავნება ორი უკანასკნელი კურსის სტუდენტი, რომელნიც ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ ოთხ კოლმეურნეობას. მათ გასამრჯელოს კისრულობს თვით შეფის უჯრედი.

უჯრედმა დასვა საკითხი საკუთარი ფონდის შესაქმნელად, რომელშიაც აქტიურ დახმარებას უწევს ადგილობრივი ორგანიზაციები. რაც შეეხება სოც. შეჯიბრებათა საკითხს, ამ მხრივ გვაქვს ნაკლი, რაც მოითხოვს დროზე გამოსწორებას.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი შეფის მუშაობა 100 პროც. დამაკმაყოფილებელია და ვფიქრობთ, რომ მომავალში პირველობა მას მიეკუთვნება, თუ ოლქის არა, რაიონის მასშტაბით მაინც.

მალაროელი.

კოლექტივის ხანაში.

საბჭოთა ქვეყანა და კერძოდ საბჭოთა საქართველო ამჟამად განიცდის უდიდეს ცვლილებებს სახალხო მეურნეობის განვითარების მხრივ. საქმე იმაშია, რომ სოფელი — ეს დაქუცმაცებისა, განკერძოებისა და ერთ წერტილზე გაყინვის ტიპიური წარმომადგენელი — უკვე ჩაება მსხვილი მეურნეობისა, ძალთა გაერთიანებისა და ძველი საფუძვლის გარდაქმნის უდიდეს პროცესში

აქედან წარმოსდგება დიდი ამოცანები პარტიისა და ხელისუფლების წინ, რთული საკითხები მიმდინარე სოციალისტური მშენებლობის საქმეში. გლეხი დარწმუნებულია, რომ მიწის, მუშა - საქონლის და სამუშაო იარაღების გაერთიანებით, ის მეტ სამეურნეო ეფექტს მიიღებს. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ შრომის ორგანიზაცია შესაფერისად იქნება მოწყობილი.

ამ მხრივ კი ბევრი სიძნელეა გადასალახავი.

კოლექტივები ინსტიქტიურად სინჯავენ შრომის ორგანიზაციის სხვადასხვა მეთოდებს, სესხულობენ ფაბრიკიდან იქ მიღებულ წესებს. მიმართავენ ნარდისა და მამითადის ფორმებსაც, მაგრამ ყოველივე ამას აკლია ერთი მთლიანი სისტემის ხასიათი, რომელიც სავსებით უნდა აკავშირებდეს ამ ახალი ფაბრიკის ძალებს და მიმართავდეს მათ შესაფერი გზით.

ავიღოთ საკითხი საწარმოო გეგმებისა. ეს ყველაზე არსებითი და საპასუხისმგებლო საკითხია კოლექტივის საქმიანობაში. ზოგიერთ კოლექტივში რამდენიმე საწარმოო დარგი ეწყობა. ყველა ამას უნდა ექნეს თავ-თავისი ორგანიზაცია, რომელიც მოაწესრიგებს წარმოების ყველა პირობას. ეს დარგები კი ჯერჯერობით იმით კმაყოფილდებიან, რომ ჰყავთ თავისი გამგე, რომელიც ასისთავებს გადასცემს თავის განკარგულებას, რომ ამა და ამ დღეს ამა და ამ ნაკვეთის დასამუშავებლად ამდენი მუშა - ხელია საჭირო. მუშა-ხელი გამოდის სამუშაოდ და, ტაბელში აღნიშნებიან — ამდენი დღე იმუშავაო. არ არის შემუშავებული ჯერ არც სანარდო, ან საგანაკვეთო სისტემა, არც დამუშავების ნორმები, არც სამუშაო ძალის დახასიათება კვალიფიკაციის მხრივ. ეს კი თავის უარყოფით გავლენას ახდენს (და არ შეიძლება არ მოახდინოს) შრომის ნაყოფიერებაზე. მარტოოდენ საერთო შრომით გამოწვეული ენთუზიაზმი თავის თავს ვერ ასაზრდოებს, თუ მას არ მიეშველა შესაფერი შეფასება გაწეული შრომისა, მიზანშეწონილად დახარჯული ენერგიისა. ამიტომ ეს საკითხი მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაწყვეტას.

ამასთან დაკავშირებულია ანგარიშწარმოების საკითხი. ის ქონება, რომელიც კოლექტივის ხელში დაგროვდა, ის მუშა-ძალა, რომელიც მის განკარგულებაშია, ის აუარებელი სამუშაო, რომელიც კოლექტივს წინ უდევს, მოითხოვს ზედმიწევნით სწორ აღრიცხვას, შეფასებას და განწესრიგებას ყოველივე ეს შეუძლებელია გარეშე კარგად დაყენებული ანგარიშთ-წარმოებისა. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არ მოიპოვება არც ბუხჰალტრები, არც მოანგარიშეები და არც სათანადო საანგარიშო წიგნები.

კოლექტივის ხელმძღვანელები მწვავედ გრძნობენ ამ საკითხებს. ისინი გაფაციცებით ეძებენ აგრონომს, მიწის მზომელს, ეკონომისტს, ბუხჰალტერს. ასეთები ძლიერ მცირედ მოიპოვება. 300 აგრონომი, რომელსაც ვადის გარეშე უშვებს სახ.-სამეურნეო ინსტიტუტი, ოდნავადაც ვერ შეასუსტებს ამ ძალთა ნაკლებობას. მრავალ ადგილას გახსნილი მოანგარიშეთა მოკლევადიანი კურსებიც ვერ ამოსწურავენ მათზე წარდგენილ მოთხოვნას. საბოლოოდ ეს არის კადრების საკითხი, რომლის გადაწყვეტის დროს ყველა თვალს აპყრობს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს და განსაკუთრებით ჩვენს უნივერსიტეტს. უნდა გამოვტყდეთ, ამ მხრივ ვერ არის საქმე რიგიანად დაყენებული. კადრების საკითხი ჯერ კიდევ თეორიულ სფეროს ვერ გასცილებია. ჩვენ გადავსინჯეთ პროგრამები, შევამოკლეთ ზოგიერთთაგანი. ზოგიც ახლად შემოვიღეთ. შევამოკლეთ კურსები. მაგრამ ახლო მომავალში ეს არ მოგვცემს იმ [illegible], რომელიც ამ ღონისძიებებს დასახული აქვთ. ჩვენ მივავლინეთ სოფლად რამდენიმე ბრიგადა, რომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში მათ დასტოვეს კარგი კვალი თავისი მუშაობისა და საერთოდ კარგი შთაბეჭდილება კოლექტივის მუშაკებთან ურთიერთობისა. მაგრამ ჩვენ არ მოგვეპოვება სახსარი ამ ბრიგადების ხანგრძლივად და მრავალრიცხოვნად მივლინებისა. სოფელს კი სწორედ დღეს სჭირდება კვალიფიციური ძალა, სჭირდება ისე, როგორც არასოდეს. ჩვენ შევეთანხმეთ კოლმეურნეობათა ცენტრს, რომელსაც უნდა გაეღოს საჭირო ხარჯები, სოფლად მისავლენ სტუდენტებისა, თუ მასწავლებლების შრომის ანაზღაურებლად, და ჩვენ კი მოვახერხებდით ამ ძალების გამოყოფას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამას არაფერი ნაყოფი გამოუღია.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ უნდა ვამზადოთ ახალი კადრები ახალი სოფლისათვის, რომელსაც ისინი არასოდეს არ მოსჭარბდება.

მ. ტოროშელიძე.

აღდგომა და 1 მაისი

ზარის გუგუნი, ღამღამით ქალებისა და კაცების მწკრივები, ბზებით, და ანთებული სანთლებით ხელში, მხიარული ჟრიამული. აი ის სურათი, რომლითაც აღსავსე იყო ძველი რეჟიმის დროს ეს უკანასკნელი კვირა დიდი მარხვისა, ვნების კვირა: ბზობა, დიდხუთშაბათი, წითელი პარასკევი. თორმეტი სახარება, გარდამოხსნა და სხვადასხვა. ბოლოს აღდგომა, რომელსაც ახალ ტანისამოსიანი და სახე გაბრწყინვალებული ხალხი ესწრებოდა; მღვდლებიც მათ ბრწყინვალე სამოსლებით ჰხვდებოდენ და მხიარულად ულოცავდენ. გაისმოდა მხიარული: „ქრისტე აღდგა" და „მოძულეთა ჩვენთა შევუნდოთ აღდგომისათვის". აღსავლის კარის უკან კი ძველი რომაელი ქურუმებივით მღვდლები ერთმანეთს უცინოდნენ. ხალხის სისულელით და გულუბრყვილო სარწმუნოებით კმაყოფილნი, მაგრამ უფრო კმაყოფილნი. რომ ეკლესიაში მოდიოდა მრავალი პასკა, ბატკანი, ღორი და, რაც უმთავრესია, ჩხრიალა ლითონი. გულუბრყვილო, სიხარულის მოსურნე, ძმობის და ერთობის განცდების მწყურვალე ხალხის დენიც მოდიოდა და მოჰქონდა უკანასკნელი ნაყოფი თავისი მძიმე შრომისა. ეს იყო უდიდესი „შეთხზული ლეგენდა", რომელსაც მიზნად ჰქონდა ექსპლოატაცია ხალხის მასების მაღალი გრძნობებისა, ძმობისა და ერთობის სურვილისა და ამ ნიადაგზე მისი დამორჩილება სულიერი, რათა მისი ნივთიერი დამორჩილება მომავალში უფრო მტკიცე და იოლი ყოფილიყო. როგორ მოახერხა სამღვდელოებამ ასეთი უდიდესი ენთუზიაზმით შექმნილი მისტერიათა მისტერიის შეთხზვა. უპირველეს ყოვლისა მან გამოიყენა ხალხის დაკვირვებანი ბუნების სიკვდილ-სიცოცხლისა, მისი მარადიული განახლებისა, რომელიც ხალხს გამოცდილი ჰქონდა თავისი მძიმე შრომის პროცესში. მან გამოიყენა ამასთან დაკავშირებული იმედები გაცოცხლებული, მოზეიმე ბუნების მიერ აღძრული ხალხის გულში, ხალხის მძიმე მუშაობასთან დაკავშირებით. ამგვარი ლეგენდები, მითები ქრისტიანობამდისაც არსებობდა. ხოლო ქრისტიანობამ ეს მითი გადმოიღო, მისცა მას თავისებური შინაარსი, თავისებურად გაამშვენიერა გარეგნობითაც. შესაფერისი საგალობელი მოიგონა. ამ საგალობელში აღნიშნულია ბუნების განახლება და სიხარული. ხალხის ძმობა დანაშაულის პატიების ნიადაგზე. და მაშვრალ ხალხს სწამდა ეს გულწრფელად და მიდიოდა მღვდელთან, რომელსაც იგი ჰკვებავდა, რათა მას „შენდობა მიეცა" და ხელზე ეკოცნინებინა; მიდიოდა ბატონთან, რომლისთვისაც ის შრომობდა დღე და ღამ და დაბლა უკრავდა თავს. რათა მას ეპატიებინა მისი „რეგვენობით" ჩადენილი „დანაშაულები", როგორც თვითონ გლეხი იტყოდა ხოლმე ხშირად და თუ ჩოხის კალთას აკოცნინებდა, ეს ხომ უდიდესი წყალობა იყო. ესენიც „აპატიებდნენ" ერთი ორი დღით და პატიების გამო. მშვიდობიანად განწყობილი მუშა, გულწრფელი ძმობის მოსურნე შემდეგში, მომავალ აღდგომამდის უარეს ექსპლოატაციის ობიექტად ხდე-

სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი მუშაობის მეთოდი უნდა იყოს

ჩვენი მუშაობა დაუკავშიროთ სოციალისტურ აღმშენებლობას

სოციალისტური შეჯიბრების პირველი კონფერენცია

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ა.-წ. 10 და 16 აპრილს მიმდინარეობდა კონფერენცია უნივერსიტეტში სოც. შეჯიბრების მსვლელობის გამოსარკვევად.

კონფერენციამ მოისმინა ტფ. სახ. უნ-ტის გაერთიანებული ადგილკომის თავმჯდომარის ამხ. გიორგი სულუხიას მოხსენება და ფაკულტეტთა კომისიების წარმომადგენელთა პროფ. გ. ნათაძის, ლექტ. ა. ვაჩეიშვილის და სტუდ. ვ. გიორგაძის თანამოხსენებები.

მომხსენებელი და თანამომხსენებლები აღნიშნავდენ სოც. შეჯიბრებით გამოწვეულ მიღწევებსა და იმ დეფექტებს, რომელთა გამოსწორება ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა.

პირველ სხდომაზევე გაიხსნა კამათი, რომელიც გაგრძელდა მეორე სხდომაზედაც.

კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფ. ალ. ნათიშვილმა, პროფ. გ. ახვლედიანმა, ლექტ. მ. ბექაიამ, ლექ. ვ. თოფურიამ, სტუდენტებმა—ამხ. ამხ. თ. გოკაშვილმა, მ. პირველმა, ი. კვირიკაძემ, ი. გაბუნიამ, აბულაძემ, ცხაკაიამ და კუხიანიძემ.

კამათის შემდეგ მოსმენილ იქნა საბოლოო სიტყვები პროფ. გ. ნათაძის (პედ. ფაკ-ის სახელით), ამხ. მ. პირველის (სოც. ეკონ. ფაკ.) და ამხ. გ. სულუხიასი.

გამოსული ამხანაგები დაუფარავად აღნიშნავდენ დეფექტებს და მიუთითებდენ პრაქტიკულ ზომებზე მომავალ მუშაობისათვის.

დასასრულ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელსაც აქვე ვათავსებთ.

რეზოლიუცია

მოისმინა რა ამხ. გ. სულუხიას მოხსენება უნივერსიტეტში სოც. შეჯიბრების მსვლელობის შესახებ, კონფერენცია აღნიშნავს, რომ სოც. შეჯიბრება საერთოდ დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს და ამ დარგში არის უდაო მიღწევებიც.

მიღწევებათ უნდა ჩაითვალოს:

1. მეცნიერულ წრეებში მეცნიერულ მუშაკთა და სტუდენტთა მუშაობის გაცხოველება.
2. სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ნაწილობრივი მიღწევა.
3. დამკვრელ ბრიგადებსა და სტუდენტთა შორის მეცადინეობის საწარმოებლად კოლექტიური ჯგუფების ნაწილობრივი ჩამოყალიბება.
4. ლექციებზე და პრაქტიკულ სემინარიულ მეცადინეობებზე დამსწრე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების ზუსტი აღრიცხვის გატარება.
5. სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში უნივერსიტეტის მიერ აქტიური მონაწილეობის მიღება.
6. როგორც სტუდენტთა, ისე პედაგოგიური პერსონალის ნებაყოფლობით საზოგადოებებში აქტივობის საგრძნობი გაძლიერება.

ამ მიღწევებთან ერთად კონფერენცია აღნიშნავს შემდეგ ნაკლს:

1. ზოგიერთი მასწავლებლის და სტუდენტთა ჯგუფების მიერ იმ უდიდესი პასუხისმგებლობის, რომელსაც აკისრებს მათ დადებული ხელშეკრულებები, ჯერ კიდევ არა სათანადო შეგნება, რის გამოც მათთვის სოც შეჯიბრება ატარებს კამპანიურ ხასიათს და შეჯიბრება თავდება მხოლოდ ქაღალდზე ხელშეკრულების დაწერით.
2. ხელშეკრულებები (დადებული, როგორც ფაკულტეტებსა, ისე კურსებსა და ჯგუფებს შორის) შეიცავს დიდ რიცხვს მუხლებისას, რომელთა უმრავლესობაც არ არის კონკრეტიზაციაქმნილი, რის გამოც მხედველობის გარეშე რჩება უმთავრესი მუხლები.
3. ადმინისტრაციის მიერ (რექტორატი, დეკანატები) თავის ყურადღების გარეშეა დატოვებული სოც. შეჯიბრების საქმე.
4. ადმინისტრაციის მიერ არ არის გამოყოფილი პრემიალური ფონდი.
5. კონფერენცია აღნიშნავს, რომ სოც. შეჯიბრებაში უნივერსიტეტის ადმინისტრატიულ - ტეხნიკური პერსონალი სრულებით არ არის ჩაბმული.
6. სოც. შეჯიბრების მნიშვნელობის პოპულიარიზაციისათვის მოწოდებული უნივერსიტეტის კლუბი ნაკლებად ასრულებს ამ თავის მთავარ მოვალეობას.
7. დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს რომ უნივერსიტეტში სოც. შეჯიბრების დადებითი და უარყოფითი მხარეები ნაკლებად შუქდება პრესაში და ვერ არის სათანადოდ გაშლილი თვითკრიტიკა ამ დარგში.

ზემოაღნიშნულის გამო კონფერენცია საჭიროდ სთვლის მიუთითოს შემდეგ პრაქტიკულ ღონისძიებებზე:

1. სტუდენტთა პროფორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობითი მუშაობა სოც. შეჯიბრების საქმეში.
2. კომკავშირის ორგანიზაციამ, რომელიც შეჯიბრების მამოძრავებელი ძალა და ინიციატორი უნდა იყოს, კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს თავისი მუშაობა.
3. ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს სოც. შეჯიბრების ნორმალურ მიმდინარეობას, პრემიალური ფონდის გამოყოფით და მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნით.
4. სოც. შეჯიბრების მიმდინარეობის ტემპის შეუნელებლად არსებული ხელშეკრულებები უნდა გადასინჯულ იქნას მუხლების შემცირებისა და მათი კონკრეტიზაციის მიზნით.
5. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლად მუშაობის საკითხებს.
6. სოც. შეჯიბრება ფართედ უნდა იქნეს გამოყენებული შრომის დისციპლინის ასამაღლებლად და განსამტკიცებლად.
7. უნდა გაძლიერდეს დამკვრელობა და დამკვრელ ბრიგადებზე ხელმძღვანელობა.
8. სამოსწავლო გეგმით გათვალისწინებული საათების გარეშე უსასყიდლოდ გაძლიერებულ იქნეს პედ. პერსონალის ხელმძღვანელობა ჩამორჩენილ სტუდენტებზე.
9. გაძლიერებულ იქნეს სათანადო პროფორგანიზაციების ხელმძღვანელობა აკადემიურ კოლექტივებზე.
10. მიმდინარე წლის ივნისის 15-დე ჩატარდეს მიღწევათა შეჯამება ხელშეკრულებებში გათვალისწინებული მუხლების მიხედვით და ყველა მიღწევა გაშუქებულ უნდა იქნეს სპეციალურად გამოშვებულ ბიულეტენში.

ბოდა. წელიწადში ერთხელ ტკბილი ილუზია მეტის მეტი მიმზიდველი იყო. რა ვუყოთ, რომ სინამდვილე სულ სხვას გვეუბნებოდა. ერთი ორი დღით ოცნების სფეროში თავის დავიწყებაც კარგი იყო. ძმობა, ერთობა თუ არ იყო სინამდვილეში, იმ ორიოდე დღის განმავლობაში მაინც ყოფილიყო მისი ილუზია. ასეთი იყო ძველ საბერძნეთში დიონისის მისტერიები, ასეთი იყო ფრიგიული ღმერთის ატისის კულტი და ასეთი იყო ქრისტიანული აღდგომაც. დრონი წავიდნენ და განახლებულმა ცხოვრებამ უარჰყო ყველა ეს ლეგენდები. აღარ სწამთ დიონისი, აღარ სწამთ ატისი, ქრისტეს აღდგომაც ორიოდე გონება - შემოფარგლული გახდა, სწამთ მხოლოდ იმ „განათლებულ ხალხს", რომელნიც ამბობენ, რომ სარწმუნოება დიდი ძალაა, რომელიც განუვითარებელ ხალხს ზნეობრივ სიფაქიზის მაღალ დონეზე აყენებსო. ცხოვრება გარდაქმნის გზაზეა დამდგარი და ყველასათვის ნათელია ბუნების საიდუმლოება, რომელიც ხალხს დოვლათს აძლევს. მას აღარ სჭირდება მითი, ვინაიდან მანქანისა და ინდუსტრიალიზაციის საშუალებით ის იმორჩილებს ამ ბუნებას, ახალი შრომის ორგანიზაციის საშუალებით კოლექტიური შრომის ნიადაგზე ის ძმობის და ერთობის ილუზიას ყოველდღიურ სინამდვილედ აქცევს. მაგრამ ჯერ გარდამავალ ხანაში ვართ და გარდაქმნის სიმძიმე, ხანდახან ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობას ჰქმნის, ცხოვრების გარდაქმნა ხშირად ცხოვრების სიმახინჯედ გვევლინება. ამიტომ, დღესასწაული, მხოლოდ ცხოვრების სინამდვილესა და შრომა - საქმიანობასთან დაკავშირებული, დღესასწაული მშრომელი ხალხისა, აუცილებლად გვესაჭიროება. გვესაჭიროება იგი იმისათვის, რომ ცხოვრების გარდაქმნასთან ერთად, თვალწინ გვიდგეს ის სიხარული და სიცოცხლის ხალისი, რომელსაც უნდა ჰქმნიდეს ახალი ცხოვრება და, რომელიც ჯერ შექმნილი არ არის, ვინაიდან გარდაქმნის პროცესი მეტად მძიმეა. ასეთი დღესასწაული არა ილუზიების შექმნილი, არამედ მახლობელი სინამდვილის გამომჟღავნებელი იყვეს პირველი მაისი, ეს მშრომელი ხალხის ბრძოლისა, განახლებისა და გამარჯვების დღე.

გ. ნათაძე.

პიონერთა კოლექტივი

სახ. უნივერსიტეტში კარგი ხანია არსებობს „მ. ტოროშელიძის სახელობის ნორჩ პიონერთა კოლექტივი". მიზანი ამ კოლექტივისა იყო, რასაკვირველია, უნივერსიტეტის მუშა-მოსამსახურეთა შვილების კომუნისტური აღზრდა. დღემდე კოლექტივი უმთავრესად იზრდებოდა გარეშე პირების შვილების ხარჯზე, ამიტომ სრულიად სწორი იყო კომკავშირის ბიუროკოლექტივის კომისიის მითითება მასზე, რომ კოლექტივი უმთავრესად უნდა გაიზარდოს უნ-ტის მუშა-მოსამსახურეთა შვილების ხარჯზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნ-ტის მუშა-მოსამსახურეებში იმდენი მოზარდი ახალგაზრდობა მოიპოვება, რომ ჩვენი კოლექტივის ზრდა უზრუნველჰყოს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ კოლექტივში, გარდა დარაჯებისა, შვილები არავის მოჰყავს, პირიქით, ზოგი მათგანი უკადრისობენ კიდეც. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება დღეს შეუძლებელია. ჩვენი აზრით საჭიროა გატარდეს შემდეგი:

1. უნ-ტის ადგილკომის მიერ მოხდეს ყველა მუშა-მოსამსახურეთა შვილების აღრიცხვა.
2. დაისვას საკითხი ნორჩ პიონერთა კოლექტივის მნიშვნელობის და ამოცანების შესახებ თანამშრომელთა საერთო კრებაზე და მოეწოდოს მათ, რათა თავიანთი შვილები ჩააბან კოლექტივში.
3. ამავე კრებაზე არჩეულ იქნას მშობლებიდან კომისია, რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს პიონერთა საბჭოს.

თუ ეს გატარდება ცხოვრებაში, შექმნილი მდგომარეობა გამოსწორდება.

ალ. ჩავლეიშვილი.

გამგეობის საყურადღებოდ

მიუხედავად იმისა, რომ სამოსწავლო წელი უკვე თავდება, ჯერაც არაა გამორკვეული მეცადინეობის შეწყვეტისა და სესიების დაწყების დრო. საჭიროა ამის დროზე მოგვარება.

ლ—კ.

სტიპენდია „სამკაულებს"

ტფ. სახ. უნივერსიტეტში ვის ენიშნება სტიპენდია, პროლეტარულ სტუდენტებს თუ „სამკაულებს"... ასეთი წინასიტყვაობით გამოვიდა ერთი მოკამათე სტუდენტი, საერთო კრების დროს და მან განაცხადა: „სტიპენდია დაენიშნა სოც. ეკონომიური ფაკულტეტის სტ. ელენა ბახუტაშვილს და სამკურნალო ფაკულტეტის სტ. ქურიძე თამარს, რომლებსაც ბეჭდები და სამკაულები აქვთ, გულზე ჯვარი, ყურებზე კი საყურეები... სახეზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, თუ როგორ, **იპუდრებ-იკრასკებიან**"...

ჩვენ არ ვიცით, ამ თაიგულებს პატივცემულმა პერტაიამ მიანიჭა სამკაულების ამორტიზაციისათვის სტიპენდია, თუ ნაყოფია ერთმართველობისა, მაგრამ ეს ვიცით, რომ უღირსნი არიან სტიპენდიის.

გაელვა.

პედაგოგიური ფაკულტეტის რეორგანიზაცია

დღეს, როდესაც კადრების მომზადების საკითხი აქტუალურ საკითხადაა ქცეული, საჭიროა ყურადღება მიექცეს პედაგოგების მომზადებასაც; თუ ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს კარგად მომზადებული ინჟენერი და ასეთივე აგრონომი, არანაკლებად საჭიროა კარგად მომზადებული პედაგოგიც. სხვა არა იყოს რა, მომავალმა ინჟენერმა და აგრონომმა ჯერ უნდა გაიაროს დაბალი და მერე საშუალო სკოლა, რომლის ბედ-იღბალი პედაგოგის ხელშია. რა მდგომარეობაშია დღეს პედაგოგების მომზადების საქმე?

პედაგოგების მომზადებას ჩვენში მიზნად ისახავს სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი; ეს ფაკულტეტი წარმოადგენს სხვადასხვა დარგის მეცნიერებათა კონგლომერატს, როგორიცაა ფიზიკომათემატიკური, საბუნებისმეტყველო, ისტორიულ - ლიტერატურული და ლინგვისტური დარგები; ყველაზე ნაკლებად იმაზე წარმოდგენილია პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგი. ნამდვილად რომ ვთქვათ, ის არც ფაკულტეტია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ვინაიდან მას აკლია გამაერთიანებელი, გენერალური იდეა, რამდენადაც მის დარგებს ბევრი არაფერი აქვთ საერთო არც შინაარსის, არც მეთოდოლოგიის მხრივ. არ არის ის, მით უმეტეს, არც პედაგოგიური ფაკულტეტი, რადგანაც პედაგოგიური დარგის დისციპლინები არამც თუ ტონს არ აძლევს მას, ერთ მეათედსაც არ შეადგენს ამ ფაკულტეტის საგანთა შორის. მართვა-გამგეობა და ხელმძღვანელობა ასეთი ფაკულტეტისა პირდაპირ შეუძლებელია და დაუძლეველია, არამც თუ ერთი ადამიანისათვის, ვინც არ უნდა იყოს მისი დეკანი, მთელი კოლეგიისათვისაც კი. შეიძლება, ყველაფერი ეს იყოს მიზეზი იმისა, რომ პედაგოგიური ფაკულტეტის პროდუქცია ვერაა სავსებით დამაკმაყოფილებელი ვერც რაოდენობით და ვერც ხარისხით. ამიტომ არ შეიძლება არ მივესალმოთ იმ ნაბიჯს, რომელიც გადადგმულია ამ ფაკულტეტის დანაწილების მიმართულებით: ნაცვლად ერთისა, ჩვენ გვექნება სამი ფაკულტეტი — ფიზიკომათემატიკური, საბუნებისმეტყველო და ეთნოლოგიური; ამ რეფორმით რამდენადმე განელებული იქნება ზემოაღნიშნული უხერხულობა. მაგრამ რამდენად გაუმჯობესდება ამით პედაგოგების მომზადების საქმე?

მართალია, აღნიშნული რეფორმის შემდეგ სახელწოდება „პედაგოგიური" იკარგება, მაგრამ არ ისპობა და არც იცვლება საჭიროება და დანიშნულება პედაგოგების მომზადებისა, მხოლოდ, თუ ამდენხანს ეს მოვალეობა ერთს, პედაგოგიურ, ფაკულტეტს ეკისრებოდა, ეხლა ის ეკისრება სამივეს: თვითეული ამ ფაკულტეტთაგანი ვალდებულია მოგვცეს მომზადებული პედაგოგები იმ სამეცნიერო დისციპლინებისა, რომელნიც შეადგენენ მისს შინაარსს და ადგილს პოულობენ სხვადასხვა ტიპისა და საფეხურის სკოლებში.

თავისთავად ცხადია, მიზნობრივი დანიშნულება აღნიშნული ფაკულტეტებისა, სხვებთან შედარებით, გართულებულია: თუ მაგალითად, აგრონომიულმა ფაკულტეტმა, ჩვენ უნდა მოგვცეს მხოლოდ სპეციალისტი აგრონომი, ეკონომიურმა — ეკონომისტი, საექიმომ — ექიმი, პოლიტექნიკურმა — ინჟენერი, ახალჩამოყალიბებულმა ფაკულტეტმა უნდა მოგვცეს არა მარტო სპეციალისტები გარკვეული სამეცნიერო დარგისა, არამედ აგრეთვე მომზადებული მასწავლებლებიც. ის, ვინც მასწავლებლობისათვის ემზადება, ვალდებულია ზედმიწევნით შეისწავლოს ჯერ ის სამეცნიერო დარგები, რომლებიც მან უნდა ასწავლოს სკოლაში, მერე ხერხი და მეთოდები ამ საგნების გადაცემისა და შეთვისებისა.

თუ პედაგოგიური საგნების რაოდენობა და განაწილება ახალს ფაკულტეტებშიც ისეთივე დარჩება, როგორც იყო პედაგოგიურს ფაკულტეტსა და მის განყოფილებებზე, პედაგოგიური მომზადების საქმე მაინც-დამაინც წინ ვერ წაიწევს. ყოფილს პედაგოგიურს ფაკულტეტზე პედოლოგიური დისციპლინები ცალკე იყო გამოყოფილი; ისინი შეადგენდენ დამოუკიდებელს პედაგოგიურ ერთეულს, ფიზიქის მასწავლებელმა, რომლის მომზადებას მიზნად ისახავენ სხვა განყოფილებანიც ამ ფაკულტეტისა, პედაგოგიური დისციპლინები არ უნდა იცოდეს. პედაგოგიური საგნები გაფანტული იყო სხვადასხვა კურსებზე, პირველიდან დაწყებული მეოთხემდე; რაოდენობა კვირეული სამეცადინო საათებისა ამა თუ იმ განყოფილების ოთხსავე კურსზე იყო არანაკლებ 144-ისა, აქედან პედაგოგიურ დისციპლინებს დათმობილი ჰქონდათ 15 საათი (10 ნახ. პროცენტი). ერთი სიტყვით, პედაგოგიური საგნები იკარგებოდა სხვა სამეცნიერო დისციპლინათა შორის, რის გამო ვერც ისინი იქცევდენ ჯეროვან ყურადღებას, ვერც უკანასკნელნი იძლეოდენ თავისუფლად მათში უცხო დარგის შემოტანის გამო. ვერც პრაქტიკის საქმე იყო ჯეროვნად მოწესრიგებული ამ ფაკულტეტზე. თვითეულმა ფაკულტეტმა იცის, რა ხასიათის პრაქტიკაა მისთვის სავალდებულო: აგრონომისათვის სავალდებულოა აგრონომიული პრაქტიკა, ექიმისათვის საექიმო, ინჟენერისათვის საინჟენერო და სხვ. პედაგოგიურ ფაკულტეტზე არ იყო გარკვეული, რა ხასიათის პრაქტიკა უნდა აწარმოოს მან: ევალება მას, მისი სახელწოდების მიხედვით, მხოლოდ პედაგოგიური პრაქტიკა, თუ მეცნიერულიც, რამდენადაც მან უნდა მოამზადოს დაწესებულებებისა და წარმოებისათვის სხვადასხვა სპეციალისტები. არც ის იყო გარკვეული, სად უნდა წარმოებდეს ეს პრაქტიკა: სკოლებსა და სასკოლო დაწესებულებებში, თუ სხვადასხვა ლაბორატორიებსა და წარმოებებში.

ყველა ამ უხერხულებათა თავიდან ასაცილებლად თეორიულად საუკეთესო იქნებოდა და მიზანშეწონილი შექმნა ერთ ან ორწლიანი უმაღლესი ტიპის პედაგოგიური სასწავლებლისა, რომელშიაც შევიდოდა ყველა ის, ვინც მოწოდებას გრძნობს პედაგოგიური მოღვაწეობისადმი და ვისაც ამავე დროს დასრულებული აქვს რომელიმე სასწავლებელი. მაგრამ პრაქტიკულად ეს მიუღებელი იქნება, ვინაიდან ასეთი სისტემა პედაგოგების მომზადებისა თხოულობს ხუთ-ექვსწლიან კურსს, რაც არ შეეფერება დღევანდელ მომენტს, როდესაც დასმულია საკითხი კადრების დაჩქარებით მომზადებისა და ამ მიზნით სასწავლო წლების რაოდენობის შემცირებისა, მით უმეტეს, რომ იშვიათად თუ ვინმე მოისურვებს, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, კიდევ დაკარგოს ორი, თუგინდ ერთი, წელიწადი პედაგოგიური მომზადებისათვის, განსაკუთრებით თუ გათვალისწინებული იქნება, სხვა პროფესიებთან შედარებით, მატერიალური პირობები, რომელშიაც იმყოფებიან დღეს ჩვენი მასწავლებლები.

ამიტომ, რადგანაც პედაგოგების მომზადება ბოლოსდაბოლოს ისევ პედაგოგიური ფაკულტეტიდან გამოყოფილს სამს ფაკულტეტს ეკისრება, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება შემდეგნაირად ჩამოყალიბება ამ ფაკულტეტებისა:

1) ამ ფაკულტეტების პირველს სამს კურსზე გადიან წმიდა სამეცნიერო და საზოგადოებრივი მინიმუმის დისციპლინებს, რომელნიც აძლევენ მათ შინაარსს და ადგილს პოულობენ სხვადასხვა ტიპისა და საფეხურის სკოლებში. ამ კურსებიდან პედაგოგიური, პედოლოგიური და მეთოდიკური საგნების გამოყოფის შემდეგ საკმაო იქნება ოდნავი შეკუმშვა სასწავლო გეგმებისა მათი 6-7 საათიანი დღის ნორმაში მოთავსების მიზნით.

2) პირველს სამს კურსზევე აქვს ადგილი აკადემიურსა და საწარმოო პრაქტიკას ამ დისციპლინებში; ეს პრაქტიკა წარმოებს იმ დაწესებულებებსა და წამოწყებებში, რომლებისთვისაც აღნიშნული ფაკულტეტები ამზადებენ მეცნიერ სპეციალისტებს.

3) პედაგოგიური და მეთოდიკური საგნები, რომელნიც ჰქმნიან ბაზას პედაგოგიური მომზადებისათვის, თავმოყრილია ამ ფაკულტეტების უკანასკნელს, მეოთხე, კურსზე. აქვეა გადმოტანილი სპეციფიური პედოლოგიური დისციპლინები, რომელნიც დღეს ცალკე განყოფილებას შეადგენენ, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთა ვთქვით, მათი ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს თვითეული პედაგოგისათვის.

4) ამ კურსზევე გადიან პედაგოგიურ პრაქტიკასაც სხვადასხვა ტიპისა და საფეხურის სკოლებსა და სასკოლო დაწესებულებებში.

5) რამდენადაც სხვადასხვა ტიპისა და განხრის სკოლებში დღეს საჭირო არიან მასწავლებლად აგრონომებიც, ეკონომისტებიც, ექიმებიც, ინჟენერებიც, მუსიკოსებიც და მხატვრებიც, ამ უკანასკნელს, პედაგოგიურ კურსზე შესვლის ნება უნდა ჰქონდეთ ყველა უმაღლეს სასწავლებლებში კურსდამთავრებულთ, თუ ამათში მსურველები აღმოჩნდებიან.

წარმოდგენილს სისტემას, შედარებით არსებულთან, ის უპირატესობა აქვს, რომ იმით რამოდენადმე გამიჯნულია წმიდა მეცნიერული მომზადება პედაგოგიურისაგან. თვითეულს მათგანს ენიჭება დამთავრებული სახე და დამოუკიდებელი არე განვითარებისა, ამავე დროს ბოლო ეღება მიზანთა იმ არევასაც, რომელიც ახასიათებდა ყოფილს პედაგოგიურ ფაკულტეტს.

პროფ. კეკელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმსგავსოებანი სტუდ. ალმ. ბიუროში

სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ ყველა ისინი, ვინც სტუდენტთა კაპეიკები გაფლანგა

ფართოდ გავშალოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა ყოველგვარი უმსგავსოების გამოსააშკარავებლად

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ალმასბიუროში მომხდარ უმსგავსოებათა შესახებ

1. აღინიშნოს, რომ:

ა) უყაირათო მუშაობისა, გაფლანგვებისა და მტაცებლობის შედეგად, ალმასბიუროს სალაროს 1929 წელს დააკლდა დიდი თანხა (20.899 მან. 33 კაპ., აქედან მარტო **გ. პერტაიამ** — ალმასბიუროს მდივანმა, გაფლანგა 12.000 მანეთზე მეტი, ალმასბიუროს თავმჯდომარე **აბუსერიძემ** — დაახლოვებით 4.000 მანეთი და სხვ.), აგრეთვე დარჩა დიდი დავალიანება (8.000 მანეთზე მეტი) და ანგარიშქვეშ გაცემული თანხები (2.000 მანეთზე მეტი).

ბ) სტიპენდიების დანიშვნის დროს დადგენილი არ იყო სასტიკი წესი, რამაც ერთის მხრივ გამოიწვია, სტიპენდიების თვითნებურად დანიშვნა, ხოლო მეორეს მხრივ ბოროტმოქმედებანი.

გ) გაწეულ იქნა უყაირათო და მიზანშეუწონელი ხარჯები, როგორც ალმასბიუროს ხარჯზე, ისე ურთიერთდამხმარე სალაროს ხარჯზე, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა ამ უკანასკნელთ (მარტო ხელფასი გაცემულ იქნა ალმასბიუროს ხარჯზე 1.222 მანეთი და ურთიერთდამხმარე სალაროს ხარჯზე — 1.855 მან.).

დ) სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტბიურო - კოლექტივის მთელი რიგი დადგენილებანი აღნიშნავენ ზოგიერთ შემთხვევაში ალმასბიუროს თანამშრომელთა უკანონო მოქმედებას, მაგრამ პასუხისმგებელი პირები ამ დადგენილებებს ცხოვრებაში არ ატარებდნენ და თავიანთი შეხედულებისამებრ განაგებდნენ საქმეებს.

ე) განათლების სახალხო კომისარიატი ყოველი წესისა და კონტროლის გარეშე აძლევდა ალმასბიუროს ლიტერებს ნისიად, არ სთხოვდა მას ვალის გასტუმრებას და აძლევდა მას ახალ ლიტერებს ისე, რომ არ სთხოვდა ფულს წინად გაცემული ლიტერებისათვის.

2. აღინიშნოს გარდა ამისა, რომ ალმასბიუროს მუშაობის პრაქტიკაში იყო ყალბი მოწმობების შედგენის, ბოროტმოქმედების კვალის დაფარვის, სამსახურეობრივი მდგომარეობით ბოროტმოქმედების, სამსახურის მოვალეობისადმი გულგრილად მოპყრობის და სხვ. შემთხვევები **(პერტაია, გულისაშვილი, დოლონაძე, კარანაძე).**

3. ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი სთვლის, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის საერთოდ სწორი პოლიტიკური ხაზისა, ამ უმსგავსოებებს შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა პარტხელმძღვანელობის სისუსტის (განსაკუთრებით სტუდენტობის პროფ. ორგანიზაციის ხაზით); თვითკრიტიკისა და კრიტიკის სრულიად არასაკმაო გაშლის, აქტივის სუსტად აღზრდის, ალმასბიუროს თანამდებობის პირებისადმი ზედმეტი ნდობის, ამ უკანასკნელთა მიერ ურთიერთ დაფარვის და სხვ. პირობებში.

იღებს რა მხედველობაში ყოველივე ამას, **ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი ადგენს:**

1. საქ. კომპარტიის (ბ) სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივის ბიუროს მიეცეს მითითება.

2. ალმასბიუროს თავმჯდომარე აბუსერიძე, პასუხისმგებელი მდივანი გ. პერტაია, სახელმწიფო უნივერსიტეტის მოლარე შავთვალაშვილი, სტუდენტთა შორის მომუშავე დ. გულისაშვილი, სასულე ორკესტრის ხელმძღვანელი მიქაბერიძე, სტუდენტთა სასადილოს ყოფილი გამგე შალვა პლატონისძე სალუქვაძე, აგრეთვე კარანაძე და დოლონაძე, როგორც გამფლანგველები და ყალბი დოკუმენტების შემდგენნი მიცემულ იქნან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით — სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ორგანოების მეშვეობით.

3. კლ. აბუსერიძე გამორიცხულ იქნას პარტიიდან ალმასბიუროს სახსრების გაფლანგვისა და მტაცებლობისათვის.

4. ალმასბიუროს ყოფილი თავმჯდომარე **ამხ. კიკაბიძე** თუმცა ღირსია პარტიიდან გამორიცხვისა ალმასბიუროს მიმართ სუსტი ხელმძღვანელობისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა მტაცებლობა და დიდი გაფლანგვა, ფულის უკანონოდ მიღება და ყალბი ანგარიშების დამტკიცება, მაგრამ ც. ს. კ. პრეზიდიუმი, იღებს რა მხედველობაში მის სოციალურ მდგომარეობას და დაშვებული შეცდომების გულწრფელად აღიარებას, ადგენს **გამოეცხადოს მას სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, გამოყვანილ იქნას იგი უნივერსიტეტის პარტ - კოლექტივის ბიუროს შემადგენლობიდან და მოხსნილ იქნას სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის პარტ - კოლექტივის მდივნის თანამდებობიდან.**

5. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურნეო ნაწილის გამგე გაბიძაშვილი მოხსნილ იქნას თანამდებობიდან და გამოეცხადოს მას სასტიკი საყვედური გაფრთხილებით თავისი მოვალეობისადმი გულგრილად მოპყრობისათვის.

6. ურთიერთდამხმარე სალაროს პასუხისმგებელ მდივან ამხ. **ყიფიანს** და კულტ. კომისიის ყოფილ თავმჯდომარე **ნამორაძეს**, რომლებმაც სრული პასივობა გამოიჩინეს, რამაც გამოიწვია ზარალი და შექმნა სრული არევ-დარევა, **გამოეცხადოს საყვედური.**

7. მიეთითოს განათლების სახალხო კომისარიატს, რომ დაუშვებელია ლიტერების უკონტროლოდ გაცემა.

8. წინადადება მიეცეს კოლექტივის ბიუროს ა) დაუყოვნებლივ დანიშნოს ალმასბიუროს და ურთიერთდამხმარე სალაროს გამგეობის გადარჩევა, ბ) განტვირთოს ალმასბიურო წმინდა ადმინისტრატიული ფუნქციებიდან და შემდეგში აღარ დაუშვას ჩარევა რექტორისა და გამგეობის ადმინისტრატიულ უფლებებში, რომლებიც მას არა აქვს მიკუთვნებული.

9. კატეგორიული წინადადება მიეცეს ალმასბიუროს ფრაქციას, მიიღოს გადამჭრელი ზომები იმ დავალიანების დასაფარავად, რომელიც სხვადასხვა პირებზე ირიცხება.

10. წინადადება მიეცეს სახელმწიფო უნივერსიტეტის სათანადო ორგანიზაციებს შესწყვიტონ სტიპენდიების ერთპიროვნული განკარგულებით დანიშვნის არსებული წესი. მოხდეს სტიპენდიატთა გულდასმით შემოწმება იმ მიზნით, რომ წაერთვას სტიპენდიები იმათ, ვისაც სტიპენდია უკანონოდ დაენიშნა და დანიშვნის დროს დაცული არ იყო სათანადო წესები.

11. არანორმალურ მოვლენად ჩაითვალოს ალმასბიუროს ფუნქციების გაერთიანება ურთიერთ დამხმარე სალაროსთან და მოხდეს ურთიერთ დამხმარე სალაროს გამოყოფა სრულიად დამოუკიდებელ ერთეულად, ცალკე საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახით.

12. რაიონული კომიტეტის, კოლექტივის ბიუროს და უნივერსიტეტის მთელი პარტიული ორგანიზაციის ყურადღება მიექცეს იმას, რომ საჭიროა გაშლილ იქნას უნივერსიტეტის ორგანიზაციების მუშაობაში არსებული დეფექტების უსასტიკესი კრიტიკა და სწრაფად გარდაიქმნას ამ საფუძველზე პარტორგანიზაციის მუშაობა; ამასთან მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას ის დამატებითი სიძნელეები, რომლებიც შეიძლება შეიქმნან მტრული გარემოცვის გამო, ზემოთ აღნიშნულ უმსგავსოებათა გამოაშკარავებასთან დაკავშირებით და რომლებმაც შეიძლება არარაობად აქციონ პარტორგანიზაციის მიერ ჩატარებული უდიდესი მუშაობა, ტროცკიზმის, მენშევიზმის და პროფესურის, მასწავლებელთა შემადგენლობისა და სტუდენტობის რეაქციონურად განწყობილი ნაწილის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სახ. უნივერსიტეტის და სას. სამ. ინსტიტუტის პარტუჯრედთა გაერთიანებული კრების რეზოლუცია

საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქ. სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის კომუჯრედების გაერთიანებულმა სხდომამ, მოისმინა რა ამხ. **გ. დევდარიანის** მოხსენება და ცნობა საქ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის დადგენილებისა სტუდენტთა ორგანიზაციების ალმასბიუროს მომუშავეებთან დაკავშირებით შექმნილ მდგომარეობაზე, მთლიანად და სავსებით უერთდება საქ. საკონტროლო კომისიის დადგენილებას, ღებულობს მას ცხოვრებაში ურყევად გასატარებლად და მომავალში მუშაობისათვის სახელმძღვანელოდ. ამასთან ერთად გაერთიანებული კომუჯრედთა სხდომა აღნიშნავს: 1) ის დიდი უარყოფითი მოვლენა მთელი თავის უმსგავსოებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ალმასბიუროს საქმიანობაში და რომელიც ჩაიდინეს ალმასბიუროს მომუშავეებმა, არ შეიძლება განისაზღვროს და შეფასებულ იქნას როგორც უბრალო გაფლანგვა. ამ მოვლენას თან სდევდა თვითკრიტიკის ჩახშობა, ურთიერთ ძმაბიჭური კავშირი და უპასუხისმგებლო გაძლიერება აღნიშნულ მომუშავეებისა. ამასთან ერთად, ეს აიხსნება იმ დიდი ნდობით, რომელსაც უნივერსიტეტის პარტ - ხელმძღვანელობა იჩენდა ალმასბიუროში მომუშავე ამხანაგების მიმართ და იმ დაუდევრობითა და სუსტი ხელმძღვანელობით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ალმასბიუროს ხაზით.

2) სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტ - ხელმძღვანელობას აუცილებლად მთელი რიგი მიღწევები აქვს, მისი პოლიტიკური ხაზი სწორი იყო, ბრძოლა ტროცკიზმის, მენშევიზმის, ოპორტუნიზმის, მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებლობის გამტარებელთა, პროფესურისა და სტუდენტობის რეაქციონურ და ანტისაბჭოთა ნაწილის წინააღმდეგ გააფთრებით სწარმოებდა. უნივერსიტეტის საერთო საქმიანობაში პარტორგანიზაციას თავისი წვლილი შეჰქონდა და საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის ხაზს ურყევად ატარებდა.

3) მაგრამ ამავე დროს ადგილი ქონდა მთელ რიგ შეცდომებს, უმთავრესად თვითკრიტიკა არ იყო ფართოდ გაშლილი, რომ თავის დროზე შემჩნეული ყოფილიყო ყველა ის დეფექტები და უმსგავსოებანი, რომელთანაც საქმე გვაქვს დღეს. ადმინისტრატიულ საქმეებით დატვირთვა, სამკუთხედში შეუთანხმებლობა, გამგეობისა და ადმინისტრაციის სუსტი მუშაობა, რომელიც კიდევ უფრო ტვირთავდა სტუდენტთა ორგანიზაციებს და განსაკუთრებით პარტორგანიზაციას, ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობა და მეორე პუნქტში აღნიშნული მომენტები იქცევდნენ ხელმძღვანელობის და მთელი ორგანიზაციის უმთავრეს ყურადღებას და ამის გამო, მხედველობიდან გაშვებულ იქნა ალმასბიუროს საქმიანობა, რომელიც ერთ - ერთ მთავარ ორგანოთაგანია უნივერსიტეტში.

4) აქვე უნდა აღინიშნოს სუსტი მხარეები კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობაში და განსაკუთრებით „მსუბუქი კავალერიის" უმოქმედება, რომელიც აღმოჩნდა ხსენებულ ორგანიზაციებში აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. ამ ორგანიზაციებს აუცილებლად ესაჭიროება ნაწილობრივი გადახალისება.

5) უნივერსიტეტში შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს მთელი პარტიული მასის ყურადღების და ენერგიის დაჭიმვას და მთელი ამ მასის მობილიზაციას. პარტიული ორგანოების დადგენილების ირგვლივ. კლასობრივი მტრები და უკმაყოფილო ელემენტები აუცილებლად მოინდომებენ ამ უმსგავსოებათა მხილების შედეგად თავისი მუშაობის გაცხოველებას და მდგომარეობის გამოყენებას, რის მაგალითები უკვე გვაქვს. (მაგ., დოც. ა. წერეთელი, ასისტენტი გიორგი გამყრელიძე, ყოფ. ასისტენტი, უნივერსიტეტის ექიმი ნაზარეტიანი, ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტი ნინა მეუნარგია, ყოფ. სტუდენტი ხმის უფლება მოკლებული გრიგოლ ბათლომეს-ძე კეკელიძე, და მრავალი სხვები) ისინი აუცილებლად შეეცდებიან ეს მდგომარეობა გამოიყენონ თავის სასარგებლოდ, რომ ამით არარაობამდის დაიყვანონ ის დიდი მუშაობა სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტორგანიზაციისა, რომელიც ჩატარებული იქნა. სწორედ აქ არის საჭირო ამ მდგომარეობის შეგნება, რომ ასეთ ცდებს კლასობრივი მტრების და უკმაყოფილო ელემენტებისა დაუპირდაპირდეს პარტორგანიზაციების შეგნება და შეკავშირება საკონტროლო კომისიის დადგენილების ურყევად გატარების ნიადაგზე. ის გაფრთხილება, რომელსაც იძლევა საქართველოს საკონტროლო კომისია ამ მხრივ, უნდა შეგნებული იქნეს მთელი პარტიული მასის მიერ.

6) აუცილებელია მომავალი გადარჩევების დროს, რომელიც საჩქაროდ უნდა ჩატარდეს როგორც პარტიული, ისე პროფორგანიზაციების ხაზით, უზრუნველყოფილი იქნას შინაპარტიული დემოკრატია თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის ნიადაგზე. „დღევანდელ მომენტში, ისე როგორც არასოდეს, საჭიროა გაბედული ბოლშევიკური თვითკრიტიკა. მხოლოდ ასეთი თვითკრიტიკა მოგვცემს საშუალებას დაშვებული შეცდომების განუმეორებლობის". უჯრედი მთლიანად აუცილებლად ჯანსაღია ის შესძლებს საკონტროლო კომისიის დადგენილებისა და რაიონული კომიტეტის მითითების საფუძველზე ახალი აქტივის წამოყენებით აღნიშნულ დადგენილების განხორციელებას და დასმული ამოცანების გადაჭრას.

წარსული შეცდომები
გამოვასწოროთ მასების
ფართე მობილიზაციით

პროლეტარულ სტუდენტთა
ცენტრალური ბიუროს შესახებ

1. აღინიშნოს, რომ:

ა) ერთდროული ფულადი დახმარებების მიცემას სტუდენტებისათვის ცენტრალური ბიურო აწარმოებს ყოველგვარი სისტემის გარეშე. დახმარების გაცემის დროს ბიურო არ არკვევს მთხოვნელის სოციალურ მდგომარეობას და იმას, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს მთხოვნელის განცხადება.

ხშირია შემთხვევები, როცა ერთდაიმავე სტუდენტს მოკლე ხნის განმავლობაში რამდენჯერმე ეძლევა დახმარება.

ბ) სტუდენტებს დახმარებას აძლევს ცენტრალურ ბიუროს სამი პასუხისმგებელი პირი: ბიუროს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და კულტკომისიის თავმჯდომარე. მათ არ აქვთ ცნობები ერთმანეთის შეცვლის დროს გაცემულ დახმარებათა შესახებ.

გ) სახსრების გაცემა ანგარიშის მოუთხოვნად (კერძოდ გარდაცვალებულ სტუდენტების დასაფლავებაზე).

დ) ცენტრალური ბიუროს მიერ 1928 წლ. 19 ივნისს გამოტანილია სრულიად შემცდარი დადგენილება, რომლის თანახმად ბიუროს თავმჯდომარეს უფლება ეძლევა პირადი შეხედულებით პრეზიდიუმის დაუკითხავად გასცეს დახმარება 100 მანეთის ფარგლებში.

ე) სისტემატიურ ხასიათს ატარებს სესხად თანხების მიცემა როგორც თავის ხელქვეით დაწესებულებებისათვის, ისე ცალკე პირებისათვის.

ვ) ანგარიშ ქვეშ გაცემულია დიდი თანხები (3.099 მან.) ეს თანხები გაცემულია მიმდინარე წლის დასაწყისში და აქამდის ნრ არის განაღდებული).

ზ) იყო შემთხვევები, როცა ცენტრალურ ბიუროს მუშაკები ბოროტად იყენებდნენ თანამდებობას და ანგარების მიზნით აძლევდნენ დახმარებას თავიანთ მეგობრებს და სტუდენტ ქალებს, ხოლო უკანასკნელთ აიძულებდნენ სქესობრივი კავშირი დაეკავებიათ მათთან.

2. ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმს დამტკიცებულად მიაჩნია, რომ ყველა ეს უმსგავსოება შეეიდა ბიუროს მუშაობის სისტემაში, რომ ბიურო სრულიად უკონტროლოთ მუშაობდა და უკონტროლოთ აძლევდა აგრეთვე თანხებს თავის ძირითად ორგანიზაციებს, რამაც დიდათ შეუწყო ხელი ბოროტმოქმედებებს სახელმწიფო უნივერსიტეტის ალმასბიუროში.

3. ემყარება რა ზემოდაღნიშნულს, ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი ადგენს:

ა) მოიხსნას თანამდებობიდან ცენტრალურ ბიუროს თავმჯდომარე ამხ. გეგენავა და გამოეცხადოს მას საყვედური ცენტრალურ ბიუროს არასწორი და სუსტი ხელმძღვანელობისათვის, უყაირათობისა და თავისი თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის.

ბ) წინადადება მიეცეს საქართველოს პროფსაბჭოს დაუყოვნებლივ მოახდინოს ცენტრალურ ბიუროს გადარჩევა.

გ) განახლებულ იქნას ცენტრალურ ბიუროს მუშაკთა შემადგენლობა.

დ) აეკრძალოს ცენტრალურ ბიუროს ცალკე პირებისათვის დახმარების გაცემა, აწარმოოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. დახმარების გაცემა მიენდოს სათანადო ალმასბიუროებს, რომელნიც თანხებს ამ მიზნისათვის ღებულობენ ცენტრალურ ბიუროდან.

ე) დახმარების გაცემა განსაკუთრებულ შემთხვევებში აუცილებლად უნდა ხდებოდეს მას შემდეგ, რაც დახმარების მიცემის საკითხს განიხილავს პრეზიდიუმი. გაუქმდეს 1928 წლის 19 ივნისის დადგენილება.

ვ) წინადადება მიეცეს ბიუროს დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ანგარიშ ქვეშ გატანილ თანხების გამართლებისათვის.

ზ) მიღებულ იქნას ენერგიული და გადამწყვეტი ზომები სესხად გაცემულ და დაუფარავი თანხების აღსადგენად. იმ პირთა საქმე, რომლებიც ცენტრალურ ბიუროს მიერ დაწესებულ ვადაში არ დაფარავენ თავიანთ დავალიანებას, გადაეცეს სასამართლოს, დავალიანების იძულებითი გადახდევინების მიზნით.

თ) სხვადასხვა უწყებიდან დახმარების სახით მიღებული თანხები უნდა გატარდეს შემოსავალში და ამ თანხების დახარჯვის შემდეგ ანგარიშები უნდა წარედგინოს სათანადო ორგანოებს.

ი) მთელი სარევიზიო მასალა გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოს დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

კ) წინადადება მიეცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის **საბჭოთა ჯგუფს** განათლების სახალხო კომისარიატისა და საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენლებთან ერთად დაწვრილებით შეისწავლოს ცენტრალურ ბიუროს საქმიანობა და შეიმუშაოს ღონისძიებანი ცენტრალურ ბიუროს რაციონალიზაციისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის თავმჯდ. — **ივანოვ-კავკასკი.**

ეკონომიურ-სამეცნიერო წრის შესახებ

წრე მიზნად ისახავს ეკონომიურ პრობლემათა მეცნიერულ დამუშავებას; ის განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა გარდამავალი ხანის მეურნეობის, საბჭოთა ეკონომიკის თეორეტიული და პრაქტიკული კითხვების დამუშავებას. წრისათვის შედგენილ საწარმოო გეგმაში სწორედ ჩვენ შერჩეული გვაქვს ის ძირითადი პრობლემები, რომელიც მოითხოვენ თეორიულ დამუშავებას ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ამ საფეხურზე. უნდა ითქვას, რომ ცდა — სისტემატიურად საბჭოთა ეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული კითხვების დამუშავებისა ახალი ნაბიჯია ჩვენს სამეცნიერო წრეში. წრის მუშაობაში შემდგომ ძირითად ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ამ მიმართულებით მუშაობის მეტი გაღრმავება. ჩვენი მუშაობის დადებითი მხარეს ის წარმოდგანს, რომ წელს უკუგდებული იქნა ე.წ. „უნივერსალიზმის" პრინციპი, წრე დაიყო სექციებად. სექციებად დაყოფას საფუძვლად დაედვა ძირითად ეკონომიურ დისციპლინათა მიხედვით დაყოფის პრინციპი. პირველი სექცია — თეორეტიული ეკონომიისა და საბჭოთა ეკონომიკის სექცია, სადაც მუშავდება პოლიტეკონომიის თეორეტიული სადისკუსიო პრობლემები: ლენინის იმპერიალიზმის თეორია და გარდამავალ ხანის მეურნეობის აქტუალური, თეორეტიული და პრაქტიკული კითხვები. მაგ.: რეპროდუქციის პრობლემა, ეკონოიურ კატეგორიათა მოდიფიკაცია საბჭოთა მეურნეობაში და სხვა.

მეორე მნიშვნელოვანი სექცია, რომლის იდეოლოგიურ გაძლიერებას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება მიმდინარე პერიოდში — აგრარული სექციაა; ამ სექციაში მიზნად გვაქვს დასახული დამუშავდეს ის პრობლემები, რომელსაც აყენებს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გზით განვითარება, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია. ის გარემოება, რომ სოფლის მეურნეობის ეკონომიკის პრობლემების მარქსისტულ დამუშავების ფაქტთან თითქმის არ გვქონდა საქმე, გვავალებს მაქსიმალურად გავაძლიეროთ აგრარულ სექციაში მუშაობა; მწყობრი მარქსისტული თეორიით ვებრძოლოთ აქ წვრილ პარცელიარულ მეურნეობის იდეას, მის „მეცნიერულ" „დასაბუთებას". აგრარულ კითხვების შესწავლა და დამუშავება გვაძლევს იმ იდეოლოგიურ მახვილს, რომლის მეოხებით მეტად დამარწმუნებლად შეგვიძლია მოვახდინოთ იმ მეცნიერულ სისულელეთა ნეგაცია, რომელიც ჯერ კიდევ ზოგიერთ „სწავლულთა" თავშია გაფეტიშებული და რომლის პროპაგანდასაც ეწევიან.

მესამე სექცია — კოოპერატიული სექციაა, რომლის გეგმა შემოფარგლულია კოოპერაციის როლის გარკვევით კაპიტალისტურ ეკონომიკაში, კოოპერაციის როლის განსაზღვრით გარდამავალ ხანის მეურნეობაში და განსაკუთრებით რეკონსტრუქციის პერიოდში. ამავე სექციაში არსებითად დამუშავებული იქნება ლენინის კოოპერატიული გეგმა და ამ თვალსაზრისიდან მოცემული იქნება კრიტიკა იმ ყალბი ინტერპრეტაციებისა და ამ გეგმის არასწორ გაგებათა, რომელიც გაკეთებულია ბუხარინისა და სხვების მიერ. მეოთხე სექცია — ეს ა.-კ. ეკონომიკის შემსწავლელი სექცია, რომელიც ყურადღებას მიაქცევს დაამუშაოს ა.-კ. სახალხო მეურნეობის ცალკე დარგები. ამ სექციას აქვს უაღრესად პრაქტიკული და საგამოკვლევო ხასიათი; აქ მდიდარი, ნედლი, მეცნიერულად დაუმუშავებელი მასალა ელის „ოსტატს" და თუ ჩვენ მას სერიოზულ ყურადღებას მივაქცევთ, გავანაწილებთ ეხლავე დღეებს და აქ მუშაობას არ მივცემთ სეზონურ ხასიათს, შეგვიძლია დიდი ეფექტი მივიღოთ. წრეში გადარჩევები მოხდა თებერვლის ბოლო რიცხვებში. რასაკვირველია, ანორმალური გარემოებაა, როცა ჩვენ გადარჩევებს თებერვლის თვეში ვაწყობთ; მომავალში ეს არ უნდა განმეორდეს. თებერვლიდან დღემდე ჩვენ შევძელით შეგვედგინა წრის წესდება და საწარმოო გეგმა და დაგვიმუშავებინა შემდეგი პრობლემები: ფინანსები მარქსისა და ენგელსის მოძღვრებაში — (მომხ. ვ. ჩანტლაძე, სტუდენტი), ღირებულების თეორიის სადაო პრობლემები. (მომხ. ი. ბაჯაძე, თემას მოუნდა ორი სხდომა), კოლექტივიზაციის თეორიის ძირითადი პრობლემები (მომხ. ამხ. ორაგველიძე, თემას მოუნდა სამი საჯარო სხდომა). აპრილის თვეში ჩვენ ვამუშავებთ: შრომის ხარჯვის კანონი და ამხ. ბუხარინის შეცდომები. ლენინის კოოპერატიული გეგმა, მოწესრიგებული კაპიტალიზმის შესახებ და ბურჟუაზიული ეკონომისტების შეხედულებას თანამედროვე კაპიტალიზმზე. მომავალი მუშაობის პროცესში ჩვენ უნდა უკუვაგდოთ ის კარჩაკეტილობა, რომელიც დღემდე გვახასიათებდა. ამიტომ ჩვენ გადაუტიური კავშირის დაჭერა ა.-კ; კომუდებელ ამოცანად მიგვაჩნია სისტემანისტურ უნივერსიტეტთან და ა.-კ. საგამოკვლევო ეკონომიური ინსტიტუტთან. წრე უზრუნველყოფილია ხელმძღვანელობის მხრივაც, მისი საერთო პასუხისმგებელი ხელმძღვანელია ამხ. ორაგველიძე, რომელიც წრის აკადემიურ და ორგანიზაციულ მუშაობაში ღებულობს ცხოველ მონაწილეობას. თუ ჩვენ შევძლებთ აკადემიურად წარჩინებული სტუდენტების ჩათრევას წრის მუშაობაში და მეცნიერულ ძალების გამოყენებას— ჩვენ წარმატებით დავამთავრებთ იმ სამუშაოთა ჯგუფს, რომელიც გათვალისწინებულია ჩვენს გეგმაში ერთი წლით.

გ. მეგრელიშვილი.

მხარეთმცოდნეობითი მუშაობის აღდგენისათვის

ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტში სათანადო წრეებში ჯერ არ არის საკმაოდ გათვალისწინებული და შეგნებული მხარეთმცოდნეობის მნიშვნელობა სწავლა-განათლების სისტემაში; მას არა თუ არ ექცევა სათანადო ყურადღება, არამედ ამ საგნის კათედრა იყო და შესაძლოა არც კი შეუმჩნევია ვისმეს მისი არსებობა. ჩვენ დროში, როდესაც რიკერტიანიზმის საწინააღმდეგო მუშაობა, მისი მეთოდოლოგიის გავლენის აღმოფხვრა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში მორიგ ამოცანად არის გამხდარი, მხარეთმცოდნეობა, როგორც სპეციალ ცოდნათა სისტემაში მომყვანი და გამაერთიანებელი, უდიდეს სამსახურს გაგვიწევდა.

საქმე იმაშია, რომ რიკერტიანობა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში აჩვევს მოსწავლეს ყოველი მოვლენის განცალკევებულად შესწავლას, მიზეზობრივობის და მტკიცე კანონზომიერების შეგნებას უხშობს და მას არ ავითარებს. ეს გარემოება უტოვებს მოსწავლეს თუ მკვლევარს შესაძლებლობას, რათა პირადი მიდრეკილების მიხედვით ახსნას ყოველივე მოვლენა. ამიტომ ამ მიმართულების მთავარი არსება არის იდეალისტური, ან მეტაფიზიკური მიდრეკილება. გარეშე ამ მიმართულებისა რიკერტიანული მიმართულების კვლევა-ძიებაში ჩვენ დაგვრჩება მხოლოდ უაზრო, უფორმო გროვა ფაქტებისა, რომელიც ვარგა მხოლოდ მეხსიერების მექანიზმის განვითარებისათვის. მეორე მხრივ, მიზეზობრივობის ძიების მხრივ, კანონზომიერების შეგნების გამამტკიცებლად, მოსწავლის გონება, რამდენადაც ეს თანამედროვე მეცნიერებას ძალუძს, უნდა მივიყვანოთ ძირითად მიზეზებამდის, იმ პირველად ფაქტორამდის, რომლის იქითაც მიზეზობრივობის ძიება აღარ არსებობს. როდესაც მოსწავლის გონებას მიზეზობრივობის და კანონზომიერების ძიების გზით პირველად და უმარტივეს მოვლენამდე დავიყვანთ, ღმერთის, როგორც მიზეზობრივობის და კანონზომიერების დასაბამის, დაშვება აღარ იქნება საჭირო, და ამგვარად გაწვრთნილი გონება თვით გამოდევნის ღმერთის ცნებას.

საზოგადოებრივ დარგებში უკანასკნელი საფუძველი მიზეზობრივობისა ყველაზე მარტივი და პირველადი, ზედნაშენთა წარმომშობი, არის ეკონომიური ვითარება, ამ ფაქტორთა ურთიერთობაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგები არკვევენ იმას, თუ როგორ არის ზედნაშენი საფუძველზე დაყრდნობილი და რამდენად შესაძლებელია ზედნაშენმაც იქონიოს უკუგავლენა თვით ძირითად ფაქტორზე. ეს იწვევს აუცილებლობას საზოგადოებრივ დარგების სისტემატიზაციის და დაკავშირების საჭიროებას. ამაში მხარეთმცოდნეობა ყველაზე უკეთეს სამსახურს გაგვიწევს.

მაგრამ, როდესაც მოსწავლის აზრს მივიყვანთ იქამდის, რომ ის ეკონომიკის, როგორც ძირითად ფაქტორის, არსებას და ცვალებადობას შეეხება, გამოირკვევა, რომ თვით ეს ფაქტორი ნაწილობრივ და უმთავრესად წარმომშობილი და დამყარებულია ისეთ მოვლენებზე, რომელთა შესწავლაც საზოგადოებრივ დარგების ფარგალს გარეშე იმყოფება. ეს არის ბუნება. ამგვარად, მიზეზობრივობის და კანონზომიერების შეგნების განმტკიცების გზით ჩვენ მივალთ იქამდის, რომ საჭირო აღმოჩნდება საზოგადოებრივ დარგებში მომუშავემ იცოდეს შედეგები ბუნების შესწავლისა, რომ მასზედ დაამყაროს თავის მუშაობა და მას შეუფარდოს იგი.

მეორე მხრივ ბუნების მეტყველების სპეციალისტებს შესწავლილი აქვთ ის ბაზა, რომელზედაც ნაწილობრივ დამყარებულია ეკონომიკის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენების ძირითადი ფაქტორის წარმოშობა. მაგრამ მათ არ აქვთ შესწავლილი ამ ფაქტორის შედეგები და საზოგადოებრივი მოქმედიანობა, როგორც ამ ფაქტორის შექმნის ერთ-ერთი ელემენტი. ამიტომ მიზეზობრივობა და კანონზომიერების შეგნება არც მათ ექნებათ გათვალისწინებული, ვიდრე ისინიც არ გაეცნობიან საზოგადოებრივი დარგების მუშაობას და არ შეუფარდებენ მას თავის ცოდნას და საქმიანობას.

ეს ორივე გარემოება კი იწვევს ყველა დარგის მეცნიერებათა შორის კონტაქტის საჭიროებას და აუცილებლობას. ეს კონტაქტი ხორციელდება გარკვეული სისტემით. სწორედ ამ სისტემას ეწოდებათ მხარეთმცოდნეობას.

არ არის საჭირო, რომ ამ საგნის კათედრა დაუკავშიროთ უეჭველად ეთნოლოგიას ან გეოგრაფიას, როგორც ხშირად ფიქრობენ. ამან შეიძლება დამოუკიდებლად იარსებოს; მხოლოდ ამ კათედრის გარშემო რამოდენიმე სპეციალისტების გაერთიანებაა საჭირო, რომელნიც საერთო გეგმას შეიმუშავებენ და აწარმოებენ სტუდენტობასთან პრაქტიკულ და სემინარულ მუშაობას. ამ მუშაობის ხელმძღვანელად საჭირო არიან: ერთი ბიოლოგიური საგნების მცოდნე, ერთი გეოლოგი, ერთი ეკონომისტი, ერთი მხარეთმცოდნეობის სპეციალისტი და ერთი საზოგადომეცნიერებათა მეთოდოლოგი. ეს მინიმუმია; ყველა სტუდენტმა უნდა გაიაროს ამ საგნის პრაქტიკული მინიმუმი, რომელიც მოკლე ვადაში უნდა იქნეს მოქცეული. პირველ რიგში ამ საქმეს არც დიდი თანხა დასჭირდება და არც ბევრი სხვა მოწყობილობა. მომავალში თუ ეს დაწესებულება გაფართოვდება და დაარსდება ცალკე კაბინეტში, მხარეთ მცოდნეობის ინსტიტუტს საფუძველი ჩაეყრება, მაგრამ ჯერ-ჯერობით ასეთ მიზანს ნუ დავისახავთ, სანამ მომავალი ფართო პერსპექტივებს არ გაგვიხსნის.

ვ. ნ.

ლაბორატორია კადრებისათვის

ქიმიზაციის საკითხი ერთი განუყოფელი საკითხთაგანია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის. ამ საკითხის დადებითად გადაჭრა ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით სახ. უნივერსიტეტისაგან მოითხოვს საჭირო კადრების მომზადებას. ამ მხრივ უნ-ტის გამგეობამ უნდა გაითვალისწინოს თუ რა მდგომარეობაა ქიმიის ლაბორატორიებში და მიაქციოს მას ჯეროვანი ყურადღება. უნ-ტის მელიქიშვილის სახელობის ლაბორატორია აერთიანებს სამ დისციპლინას: ოდენობითი ანალიზს, ორგანიულსა და ტეხნიკურ ქიმიას. ლაბორატორია თანხების უქონლობის გამო მოუწყობელია, როგორც ბინის მხრივ, ისე სათანადო აპარატებით, პრეპარატებითა და ლიტერატურით. მას მხოლოდ სამი სამუშაო ოთახი აქვს, რომელიც სტუდენტთა მინიმალურ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს და სემესტრების მოსმენის შემდეგ სტუდენტობას თვეობით უხდება ცდა სამუშაო მაგიდების მისაღებად. რაც შეეხება ასპირანტ- ასისტენტებისათვის სამეცნიერო -საკვლევაძიებო ოთახსა და მის მოწყობას, ამაზე ზედმეტია ლაპარაკი. ამ საშუალებათა უქონლობით აიხსნება ის გარემოება, რომ მეცნიერული ხასიათის შრომების დაწერა ექსპერიმენტალურ საგნებში შეუძლებელი ხდება. კიდევ მეტი: ლაბორატორიასთან სალექციო აუდიტორიის უქონლობის გამო ლექციები იკითხება ანასტასიევის ქუჩაზე, ხოლო თვით ლაბორატორია კი მდებარეობს ბებუთოვის ქუჩაზე. ეს გარემოება იწვევს არანორმალურ მდგომარეობას, რადგან ასისტენტს უხდება წინასწარ ცდების დაყენება ლაბორატორიაში, შემდეგ ხელსაწყოებით ლექციაზე გამგზავრება და იმავე დღეს აპარატების უკანვე დაბრუნება, რადგან პრაქტიკული ვარჯიშობა ლაბორატორიაში სწარმოებს. ყოველივე ეს იწვევს რამოდენიმე კაცის საათობით გაცდენას და ისედაც მცირე აპარატების დამტვრევა -დაზიანებას.

ჯერ კიდევ შემოდგომაზე ორგანიულ ქიმიაში ხელმძღვანელის მიერ შემოღებული იქნა ლაბორატორიული სემინარი პარალელურად კურსისა, მაგრამ დეკანატის მიერ ბინის საკითხის მოუგვარებლობის გამო მუშაობის დაწყება მოხერხდა ერთ ჯგუფთან, ხოლო დანარჩენი შვიდი ჯგუფი მუშაობის მოლოდინშია. ყოველივე ამას ისიც ემატება, რომ ლაბორატორიას ტელეფონი არ აქვს და უბრალო ცნობებისათვის პედაგოგიურ პერსონალს უხდება მიმოსვლა და დროს გაცდენა. მუშაობას აფერხებს აგრეთვე მსუბუქი ბენზინის უქონლობა, რის გამოც არის შემთხვევები, რომ ლაბორატორიის მუშაობა ჩერდება.

ამ ლაბორატორიის სპეციფიური ხასიათის გამო ასპირანტები გამოყენებულია ასისტენტებად, რადგან მცირე რიცხვი ასისტენტებისა ვერ ასწრებს იმ მუშაობას, რომელიც სრულდება ხსენებულ სამ დისციპლინის ლაბორატორიაში. მით უმეტეს მუშაობა სწარმოებს დილით და საღამოთი და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მარტო ორგანიულ ქიმიაში თვეში თხუთმეტი ლექცია იკითხება ანასტასიევის ქუჩაზე იმ დროს, როდესაც ეს აუდიტორია ლაბორატორიასთან უნდა იყოს. ამასთანავე ორგანიული ქიმიის კათედრა ემსახურება პედაგოგიურსა და სამკურნალო ფაკულტეტებს ლაბორატორიის ძალებით. ამის გამო საერთო მუშაობაც ფერხდება და კერძოდ ასპირანტურის მომზადებაც.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საკმაო რაოდენობით კადრების მომზადების საკითხს ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ როდესაც ესა თუ ის პირი იგზავნება უნივერსიტეტიდან სამეცნიერო მიზნით განსაზღვრული ვადით, ეს ვადები დაცული არ არის და ხშირად რაღაც მოხერხებით რჩებიან საზღვარ-გარედ განსაზღვრულ ვადაზე მეტ ხანს. ასე მაგალითად — ამავე ლაბორატორიიდან უნივერსიტეტის ხარჯზე გაიგზავნენ მოქ. მოქ. შ. ცინცაძე და ბ. კანდელაკი, რომელთაგან პირველი უკვე ექვსი წელიწადია მივლინებაშია, ხოლო მეორე სამი წელიწადი. თუ თვითეული სამეცნიერო მუშაკის მომზადებას ამდენი დრო და ხარჯები დასჭირდა ხელისუფლებისაგან, ჩვენ ვერ შევასრულებთ პარტიის ცეკას ნოემბრის პლენუმის დადგენილებას კადრების მომზადების შესახებ. ბოლო უნდა მოეღოს ასეთ უთავბოლობას და ხსენებული პირები გამოწვეულ უნდა იქნენ და სათანადოდ გამოყენებული. ხოლო მათ მაგიერ გაიგზავნონ სხვა პირები მივლინების ვადების სასტიკი დაცვით.

საჭიროა უნ-ტის პედ. ფაკულტეტის დეკანატმა და სასწავლო ნაწილის გამგემ მეტი უნარი გამოიჩინონ და დროზე მოაგვარონ ყველა მტკივნეული საკითხები.

ი. მიქაძე.

ლაბორატორიული სისტემა და ჩვენი უნივერსიტეტი

პედაგოგიური პროცესის მიზანი განსაზღვრავს მეთოდს, რომლითაც უნდა იყოს დამუშავებული დიდაქტიკური მასალა. ხოლო თვით ეს მიზანი წარმოადგენს განსაზღვრული ეპოქის „სოციალურ შეკვეთას". ის კონკრეტული სოციალური შეკვეთა, რომელსაც აძლევს ყოველივე სახის სკოლას პროლეტარული სახელმწიფო, მდგომარეობს: 1) ახალ გაზრდობაში მარქსისტული მსოფლმხედველობის გამომუშავებაში, 2) მებრძოლი პირობების შექმნაში, რომელიც სოციალისტურ აღმშენებლობაში აქტიური მონაწილე იქნება; 3) კოლექტივისტურ გამომუშავებაში და სხვა.

ამ მიზნის განსახორციელებლად ჩვენთვის სრულიად გამოუსადეგარი ხდება პედაგოგიური პროცესის ის პირობები, რომელნიც უკანასკნელ დრომდე ბატონობდნენ. უნდა იქნას გადასინჯული პედ. პროცესის შინაარსიც, ფორმაც და ტეხნიკაც. დიდაქტიკური მასალა უნდა შეიცვალოს, ამ მასალის დამუშავების ტეხნიკაც.

მასალის გადასინჯვის საკითხი ჩვენ უნივერსიტეტში თითქმის გადაწყვეტილია. ჩვენი უმაღლესი სკოლის მიზნების შესაბამი მასალა უკვე შერჩეულია. მაგრამ მეთოდები ამ მასალის დასამუშავებლად დარჩა ძველი. ლექციური მეთოდი, ეს ანტიკურ საბერძნეთში გამომუშავებული მეთოდი, რომელიც საშუალო საუკუნოებმა შეითვისა და სწავლების ძირითად მეთოდათ გადაიქცა—ტრადიციის ძალით ჩვენს დროშიც ბატონობს, იმისდა მიუხედავათ, რომ იგი სრულიად აღარ შეეფერება ჩვენს პირობებს. ლექციური მეთოდი, რომლის შინაარსი არის მსმენელთა პასიური აღქმა, და რომლის მიზანი მზა-მზარეული ცოდნის შეთვისებაში მდგომარეობს, ვეღარ დააკმაყოფილებს ჩვენი ეპოქის სოციალურ შეკვეთას, ვერ შექმნის ახალგაზრდობისგან საზოგადოების მებრძოლს, აქტიურ წევრს. იბადება საკითხი ახალი,—ჩვენი ეკონომიურ განვითარებისათვის შესაბამი, მეთოდების გამონახვისა და ამგვარს მეთოდს საბჭოთა პედაგოგიკა სწავლების ლაბორატორიულ სისტემაში ხედავს. შეუძლებელია ამ მოკლე წერილში ლაბორატორიული სისტემის დაწვრილებით განხილვა. ჩვენი მსმენელების ერთმა ნაწილმა კარგად იცის ამ სისტემის ძირითადი პრინციპები. აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: კაპიტალისტურ ქვეყნებში და პირველ რიგში ამერიკაში (პარკხერსტი, ეველინა, დიუ და სხვა) და ინგლისში ლაბორატორიულ სისტემამ, კაპიტალისტურ მეურნეობის უკანასკნელ პერიოდთან დაკავშირებით, მთელი რეფორმა მოახდინა სწავლების საქმეში. ლაბორატორიულ სისტემის ყველა სახეობა, როგორიც მაგ. დალტონი—გეგმა, გოვარდ, პლუნტენი გეგმა და სხვა ხასიათდება მოსწავლეთა აქტიობის პრინციპით, რომელიც ლექციურ სისტემას აკლია. ხოლო აქტიობის პრინციპი გულისხმობს მოსწავლეთა დამოუკიდებელ ძალებით მუშაობას, რომლის მიზანი არა მხოლოდ ცოდნის შეძენაა, არამედ და უმთავრესად, დამოუკიდებელ კვლევითი მუშაობის უნარის გამომუშავება და შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

რასაკვირველია, ჩვენ ვერ მივიღებთ ამერიკულ- ინგლისურ ლაბორატორიულ ყველა სისტემებს. ვიწრო ინდივიდუალისტური ტენდენცია, ინდივიდუალისტური კონკურენციის პრინციპი, ორიენტაცია „კარგ მოსწავლეზე" „და ბუნებრივი შერჩევის" პრინციპი, ყველაფერი ეს და სხვა, რაც, მაგალითად, დალტონ გეგმას ახასიათებს, „უფრო მეტად ახასიათებს ეს ე. წ. გოვარდ გეგმას, ჩვენთვის სავსებით მიუღებელია. საბჭოთა პედაგოგიკამ თავისი საერთო მსოფლმხედველობისა და სოციალისტური შეკვეთის მიხედვით გადაამუშავა ეს გეგმა. საბჭოთა კავშირში ჩვენ საქმე გვაქვს უკვე „საბჭოთა ლაბორატორიულ სისტემასთან", რომელიც დღეს უკვე გარკვეული სახით არის ჩამოყალიბებული. ჩვენი ლაბორატორიული სისტემის მიხედვით ლექციური სისტემა სავსებით მოხსნილია, როგორც მეთოდი დიდაქტიური მასალის დამუშავებისა. მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ინსტრუქტორული ლექციის სახით და შესრულებული მუშაობის შეხამებისათვის. ამ სისტემის შემოღებით მთლად იცვლება პედაგოგისა და მოსწავლის ურთიერთობა. მოსწავლე აღარ არის პასიური, ის აწარმოებს დამოუკიდებელ კოლექტიურ მუშაობას, მხოლოდ ამგვარი მუშაობა არის საფუძველი იმისა, რომ მისგან გამომუშავდება აქტიური წევრი საზოგადოებისა, სოციალისტური რეკონსტრუქციის აქტიური მოსწავლე და მუშაკი. არა ნაკლებ შეიცვლება მასწავლებლის მდგომარეობაც: ამ სისტემის განხორციელებისას, მასწავლებელი მხოლოდ კონსულტატია, ბასოვის გამოთქმით.

მასწავლებელი კონსულტანტია, მაგრამ ამავე დროს ის იმავე კვლევითი მიმართებაში უნდა იყოს მოსწავლესთან, როგორც მოსწავლე დასამუშავებელ მასალასთან და ამით შემო-ს პრინციპების გამოყენებით უნდა უხელმძღვანელოს მას, და შეუქმნას პირობები შრომის მაქსიმალური პროდუქციისათვის.

ჩვენი უნივერსიტეტი თანდათანობით გადადის ლაბორატორიულ სისტემაზე. მაგრამ 1) ეს თანდათანობა ძალიან ძნელია; აქამდე მხოლოდ რამოდენიმე კათედრაა გადასული ამ სისტემაზე; 2) ზოგიერთი გადადის დამახინჯებულ ლაბორატორიულ სისტემაზე და ამ სისტემის მაგიერ სინამდვილეში ჩვენ გვაქვს „რეპეტიტორიუმის სისტემა", რაც ლექციურ სისტემაზე დაბლა სდგას.

საჭიროა, რაც შეიძლება მალე გადავიდეთ ლაბორატორიულ სისტემაზე; ხოლო გადასვლამდე შევისწავლოთ ამ სისტემის პრინციპები, რათა ჩვენი ეპოქის სოც. შეკვეთა სწორედ შევასრულოთ.

კოტე ბაქრაძე.

კლუბის მუშაობა უნდა გარდაიქმნას

სტუდენტთა კლუბი უნდა ემსახურებოდეს ფართო სტუდენტთა მასებს, სტუდენტთა კლუბი საზოგადოებრივი-აღმზრდელობითი მუშაობის მთავარ ცენტრად უნდა იყოს გადაქცეული.

ამართლებს თუ არა ამას სტუდენტთა კლუბი? გადაჭრით ვამბობთ, რომ არა. მან კიდევ ვერ შესძლო მასიურ-კულტურულ მუშაობის ფართო მასებში გაშლა. აბა რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ უნ-ში დაახლოვებით 5000 სტუდენტია. კლუბის წევრათ კი ირიცხება მხოლოდ 151 კაცი. უნივერსიტეტში არსებულ წრეების არც ერთი წევრი არ ითვლება კლუბის წევრად. ეს უსათუოდ უნდა იმას მიეწეროს, რომ უნ-ტის კლუბი მოწყვეტილია მასებისაგან.

არც საკლუბო წრეების მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურად. წრეების ოთახი გადაქცეულია „პინგ-პონგის" სათამაშო არენად, სადაც თავს იყრის უსაქმო, საეჭვო ხალხი და არა სტუდენტობა, ისინი ლანძღვა-გინების, ხულიგნობის და მაგიდების მტვრევის მეტს არაფერს არ აკეთებენ.

კლუბის გამგეობას არც ერთი დისპუტი, მოხსენება არ გაუმართავს იმ აქტუალურ საკითხების გარშემო, რომლითაც შეიძლებოდა სტუდენტობის მიზიდვა. პირიქით, მუშაობის მთელი სიმძიმის ცენტრი მან გადაიტანა კინო-სურათების გაშვებაში და ხშირად ისეთი კინო სურათების, რომელნიც ვერც მხატვრული და ვერც იდეური ღირსების მხრივ ვერ დააკმაყოფილებდა სტუდენტობას. ამასთანავე კინო სურათის გაშვების წინ კლუბის წინ გროვდებიან ხულიგნები, კარებს ამტვრევენ და სტუდენტობას თავისუფლად გავლის უფლებას არ აძლევენ, რაც იწვევს დანებისა და მუშტის ტრიალს. კლუბის დარბაზშიაც არანორმალური მდგომარეობაა შექმნილი, რაც გამოიხატება სტვენაში, ხმაურობაში, და საერთოდ წესრიგის დარღვევაში. მათ ხშირად აყვებიან მოხულიგნო სტუდენტებიც, რომელთა შესახებაც კლუბის გამგეობამ უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები.

საჭიროა კლუბის გამგეობამ გააღრმაოს მასიური — კულტურულ-საზოგადოებრივი მუშაობა, მიიზიდოს სტუდენტთა ფართო მასები და საძირკველი ჩაუყაროს ახალი ადამიანის აღზრდის საქმეს.

გ. დევიძე.

პარტიული ცხოვრება

1) სახ. უნივერსიტეტის კომუჯრედების საანგარიშო და საარჩევნო კამპანია დაიწყო.

2) სოც. ეკონომიურ ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროში არჩეული იქნა 11 კაცი. პ.-მ. არჩეული იქნა ამხ. გ. ხუციბერიძე

3) პედაგოგიურ ფაკულტეტის ბიუროში არჩეული იქნა 9 კაცი; ბიურომ პ.-მ. აირჩია ამხ. კ. აბულაძე.

4) სამკურნალო ფაკულტეტის კომუჯრედმა ბიუროში აირჩია 7 წ.; პ.-მ. გამოყო ამხ. ა. სიკინჭილაშვილი.

5) 25 აპრილამდე მოხდება სახ. უნივერსიტეტის ბიურო კოლექტივის არჩევნები.

6) 27 აპრილს მოხდება სახ. უნივერსიტეტის სტ. აღმასბიუროს გადარჩევა.

7) ზემდგომ ორგანიზაციებში ამჟამად მუშავდება საკითხი უნივერსიტეტის ცალკე ინსტიტუტებად დაყოფის შესახებ.

ქრონიკა

1. სოც. ეკონომიური ფაკულტეტმა მე-3 და მე-4 კურსის 35 სტუდ გაგზავნა კონტრაქტაციაზე.

2. საბჭოთა და სავაჭრო მუშათა პროფკომმა ამხ. ლ. ქართველიშვილის სახელობის კომუნას კულტ-მუშაობისათვის გადასცა 300 მანეთი.

3. პირველ მაისისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტის შეფის უჯრედი აწყობს საშეფო სოფელ ნორიოში ექსკურსიას.

4. სამკურნალო ფაკულტეტის პროფკომი 1-ლ მაისისათვის ბრიგადას გზავნის 7 კაცის შემადგენლობით საშეფო სოფ. ნორიოში.

5. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა აღმასბიურომ გამოყო კომისია სტუდენტთა ჯანმრთელობის შესამოწმებლად.

რედაქციისაგან.

1-ლ მაისისათვის უნივერსიტეტის ადგილკომი აწყობს თანამშრომელთა ექსკურსიას ქ. ბათომში.

მსურველთა ჩაწერა ადგილკომში.

ამხ. მ. პირველის, ი. ყიფიანის, ი. კვირიკაძის და კომუნარის წერილები უადგილობის გამო მოთავსებული იქნება შემდეგ ნომერში.

პასუხისმგებელი რედაქტორი - სარედ. კოლეგია.

ტირაჟი 500

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტი 5 2,